




ସାହମାର୍ଜିଳିଙ୍ଗ

ନାନାପ୍ରେସରି

ଶ୍ରୀରଞ୍ଜିଲି

ପଦାର୍ଥୀ ମର୍ମିକଣ୍ଠ ପାତ୍ରିକା
ରାମରାଧା, କାଶ୍ମୀର ପୁସ୍ତକାଳୀ



ପ୍ରମାଣିତ, ପ୍ରକଳ୍ପିତ, ଅବସର୍ପିତ. 1923 ଫି.

ପାତ୍ରିକା ପଦାର୍ଥୀ ମର୍ମିକଣ୍ଠ ପାତ୍ରିକା.

ପ୍ରକଳ୍ପିତ.

ପ୍ରମାଣିତ. ଗନ୍ଧିତ. ମ୍ରେ-୩ ସର୍ବାମିଳା, ପାତ୍ରିକା ପଦାର୍ଥୀ ମର୍ମିକଣ୍ଠ
ନଂ 1896 ମତାମ୍ବସାମଲିତଗମ ନଂ 693





ଧେଖିବି ମଧ୍ୟେମେହିବି

ମଧ୍ୟେମେହିବି ମଧ୍ୟେମେହିବି

ମଧ୍ୟେମେହିବି ମଧ୍ୟେମେହିବି

ମଧ୍ୟେମେହିବି ମଧ୍ୟେମେହିବି

ମଧ୍ୟେମେହିବି ମଧ୍ୟେମେହିବି



ჩილა



ზემ გაიღიმა
და სხივთა წვიმა
ვარდს დააფრქვია,
აციმციმა.

ვარდმა დახარა
მორცხვად კოკორი
და მზის პირველ სხივს
უძღვნა ამბორი.

დაირლვა ბინდი
და დაიცალა,
ფრინველთა გუნდი
წამოიშალა.

ცვარი მღელოზე
მძივად აშენდა.
იათ სინაზე
არეს დაშვენდა.

სასიხარულო
ღილა გათენდა.
ბრწყინვალე მზეო,
ღიდება შენდა!

ხარიტონ ვარდოშვილი



ნატახტარის საიდუმლო.

I.



ამი მეგობარი—ოთარ, ოოთამ და თორნიკე ძმად შეფიცულები იყვნენ და მუდმივად ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდნენ. სწავლობდნენ ისინი აღილობრივ გიმნაზიაში. მეოთხე ამათი მეგობარი იყო, სახელად ყარამანი, ოთარის მკიდრი ბიძა, ხანში შესული კაცი, რომელიც სოფლად ცხოვრობდა. ერთ დროს იგი მასწავლებელი იყო. მაგრამ ერთი ხანია, რაც თავი დანებებული ჰქონდა მასწავლებლობისათვის და ახლა სოფლის მყუდროებაში სამშობლოს ისტორიის კვლევა-ძიებას ეწეოდა თავისითვის.

ოთხნივე გულითმდი მეგობრები იყვნენ. ეგრთებდა მათ ერთი საყვარელი საქმე, რომელსაც თანასწორი თავდადებულებით ემსახურებოდნენ. ეს იყო ისტორიული გამოკვლევა და შესწავლა საქართველოს ძველი ციხეებისა, ტაძრებისა და შესანიშნავი საისტორიო აღგროვებისა, სადაც კი არ ყოფილიყვნენ ისინი საქართველოში, შორს თუ ახლოს, მიუვალ უკაცურ აღვილებში, თუ დაბა-სოფლებსა და ქალაქებში.

მეგობრების მთავარი ბინა ყარამანის სახლი იყო სოფლად, სადაც ისინი თავს იყრიდენ ყოველ ზაფხულს, იმუშავებდენ გეგმას და საიდანაც შემდეგ მიემგზავრებოდნენ დანიშნულ აღვილს სამუშაოდ.

ყარამანის პატარა სახლი უფრო მუზეუმს ჰგავდა, ვინემ სადგომს. მეგობრების რამდენიმე წლის ნამუშევარს მთელი ბინა ათასნაირი წარწერებიანი ქვებითა და სხვადასხვა ნაშთებით აევსო. შესანიშნავი იყო განსაკუთრებით ორი ოთახი: ერთი წინგთსაცავი და მეორე ნაშთთა ნიმუშების ოთახი.

յև պահանջնելու նամքովով մշտեցմո ուղա. ոյս սամացալուտուլ թորոտոյլո ուղա და մովունուլո. տարուցծե յաերած յըլացա նշերիցուլո და պահանջնելո վարդյուրեցնանո վայեն, մոց լու და գարցենու վայու յանդայցնանո, եղեց ամովուլո սաեցնո, հոյշուրատմբնու ծեցնանու նոմունո, დուռս და პարարա յուլու զեցմո գարդյուրոցնեցնուլո մզելո ույուլցնո, սկոլցնենու, զերպ-ելուսա, ույ հյունու նուցուցնո: սամարո ուրալցնո, սամյայուլցնո და ծեցնու սեցա սեցու մզելո սայուրցնուս დա լուեցնուս նանց-հոյշեցմո նանցնո. տոտուցուլ նուցու չել մոյրուլո չշյոնճա ենու ունուցուրա, հոմելուցու յիշրա, ույ հունուս, սաճ დա սա-ելութու հոմելո մզցունուս մոյր ուղա նանցնո, պարուցու զարայու ան նամքովու անու, ույ հուս վարմուացցնու յևս ույ ուս սացնու օւտորուցուլադ.


Կահամենու սաելունու ուղա დապուլո մզցունուցնուս սամցիա-ցրո ելուսարդունո, հապ կո սախուռո ուղա թորո մցիացրունու-սա დա մոցնուս დա լորուցմո սուրուլուսատցու. յուր პարարա ուտածմո պալյո յըլացա սայցու սամտու կույց, կլուցի աս-սցուլու հյունու ծրիպալուս միցցուս վրուակո, հյունու վայեւունո չուեցնո, ծալցուցնո, մալարուցմո սաեմարցնելո դարնեցնո, նշու-ցու եւրայունու დա սեց. ոյց պատմո—յոմիասցնո, սաեսիացցնո, հոյշեցնո დա կույց ծեցնո սեցու համե-հոյշեց, հապ այլուլց-ծել սախուռուցնուս վարմուացցնու ուցու եալնուսատցու, հոգո-հուպ ոյցնեն մաճ նայուու պանցուլցնո დա մատու մզցունարո պա-համենու.

հիցնու մզցունուցնու պահանջնեն ուրնուցնո, սաճապ կո մցուրց ենուտ մանցու նշերիցնեցնուն ուսնու մոցիայուրունուս լուրուս დա սա-ճապ մատու սայցուրցու մութանձնուսատցուս կո մույշրացու տցալո. մացրամ մատու սաելու ուժուր թորսապ ցանսմուճ. յուրեցու ուսուպ մոեճա, հոմ տօնունու սախարուցու սանսիուրունու լու սայտնուցրացու սանուցալուցնուս“ սախարու սելումանց յուր յուրմա ամ սանուցալուցնուս վրամա, մցւնուրմա մկանցուցարմա ուցուս լուկա-նուսին մոցիայուրունուս նշեսեց մցւնուրուլո մոելեցնեցնո անց լուամտացրա:

„Եցուանաճ վուգեցնուս մզելո լուենու նանցհոյշեցմո մոց- նունունուս լուրուս սրուլուաճ նշեմտեցցուտ ցացուրանո ուտես პուրո-

ვნება, რომლების შესახებ არ შემიძლია არ მოგაწოლოთ მცირე ცნობა. სანამ დავიწყებდი ხეთიანში მუშაობას, სრულიად მოულოდნელად შევხვდი იქ ერთ ჯგუფს, რომელსაც უკვე დაეწყო მუშაობა სწორედ იმავე გეგმით, რომელიც მე მქონდა შემუშავებული. ჯგუფი, როგორც მოგახსენეთ, შესდგებოდა ოთხი კაცისაგან, რომელთა შორის ერთი ხნიერი კაცი იყო, სახელიდ ყარამანი, ხოლო სამი სულ ყმაწვილი: ოთარ, იოთამ და თორნიკე. ეს ყმაწვილები, როგორც შემდეგში გავიგე, ძმად ნაფიცებად არიან იმ კუთხეში ცნობილნი, ხოლო მათი უფროსი მეგობარი ჩვენი ქვეყნის ისტორიული აღილების საკვირველი მცოდნე აღმოჩნდა და, რაც ფრიად საყურადღებოა, შესანიშნავი წამკითხველი ძველი წარწერებისა. არ შეიძლება, არ აღვნიშნო ჩემი დიდი სისარული და აღტაცება, რომელიც განმაცხევინა ამ ჯგუფის მუყაითობამ, საქმისაღმი სიყვარულმა და, რაც უმთავრესია, იმ სიძველეებით მდიდარი კუთხის მათმა ზედმიწევნითმა ცოდნამ. თქვენს ყურადღებას, სამწუხაროდ, ახლა ვერ შევაჩირებ იმაზე, თუ რა გაუკეთებია ამ უცნობ ჯგუფს. მე მწამს, რომ დადგება ღრო, როცა ჩვენი საზოგადოება დიდ ყურადღებას მიაქცევს ამას. მანამ კი ნებას ვაძლევ ჩემს თავს საჯაროდ გამოვსთქვა აქ ის დიდი იმედი, რომელიც აღმიძრეს გულში ძმად ნაფიცმა ყმაწვილებმა და მათმა მეთაურმა მეგობარმა,—ეს ის იმედია, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიულად შესწავლის საქმე მკვიდრ ნიაღაზე სდგას და ახალ და ახალ ძალებს იზიდავს. ამ მოვლენას არა მხოლოდ ეროვნული მნიშვნელობა იქვს, არამედ ზოგად კაცობრიულიც, ვინაიდან ჩვენი შორი წარსული—შეიძლება ეს სულ მაღვე დამტკიცდეს—არის იგივე წარსული კაცობრიობის იმ ნაწილისა, რომლის ღროშა წინამძღვრობს დღევანდელ კულტურას.„

რა თქმა უნდა, ასეთი ვანცხადება დიდ ინტერესს გამოიწვევდა ჩვენს მეცნიერებს შორის. სხდომის დახურვის შეძეგ კერძო საუბარიც გაიმართა, რომლის ღროს გამოირკვა, რომ ძმად ნაფიცებს მეგობარი, ყარამანი, არც ისე უცნობი ყოფილა და ბევრ გამოჩენილ ჩვენს ისტორიკოსს ძალიან



ხშირი მიწერ-მოწერაც კი ჰქონებია მასთან სპეციალურ ისტორიულ საკითხებზედაც.

ასეთები იყვნენ ყარამანი და მისი მეგობრები ოთარ, იოთამ და თორნიკე.

როგორც კი დამთავრდებოდა სწავლა გიმნაზიაში, ძმალ ნაფიცები მყისვე სტოვებდენ ქალაქს და ყარამანის, სოფელში მიემგზავრებოდენ. მცირე ხანს დაისვენებდენ ხოლმე ძირფასი მასპინძლის სახლში და შემდეგ იმავე მეგობრისა და მასპინძლის ხელმძღვანელობით ყოველმხრივ მომზადებულნი მიეშურებოდენ თავის საყვარელ საქმეზე.

II.

წლევანდელი ზაფხული ჩვენი მეგობრების ცხოვრებაში არცერთს წინანდელს არ ჰყავებია. უწინარეს ყოვლისა, იგი დაიწყო ყარამანის არაჩვეულებრივი წერილით, რომელმაც დიდად ააღელვა ქალაქში ძმად ნაფიცები და აიძულა ისინი ჩვეულებრივზე უფრო აღრე გამგზავრებულიყვნენ ყარამანთან. წერილი ყოველმხრივ არაჩვეულებრივი იყო. მეგობრები ჰქონითხულობდენ მას და არ სჯეროდათ, რომ იგი ყარამანის მიერ იყო დაწერილი. საქმე ისაა, რომ ამ წერილში უცნაური ამბავი ეწერა. გარდა ამისა იგი უცნაურადვე იყო დაწერილი. ყარამანს ყოველთვის დინჯი წერა სჩვევოდა და აზრის მოქლედ და მკაფიოდ გამოთქმა. ამ წერილში კი იგი თავიდან ბოლომდი ღალატობდა თავის თავს: ხელი არეული ჰქონდა, თითქოს უკანკალებდა წერის ღროს. აზრი დაულაგებელი და გაუგებარი... წერილი დაუმთავრებელიც იყო და იქ, სადაც ბოლოში ჩვეულებრივად ყარამანი თავის სახელს აწერდა, ეწერა „მალე“. ძმად ნაფიცების აღწვევა უსაზღვრო იყო. განსაკუთრებით ოთარს აღელვებდა ეს წერილი.

წერილი თავიდან ბოლომდი ასეთი იყო:

„მეგობრებო, ჩამოდით! ჩვენი ნატახტარის საიდუმლოების კარი, მგონია, შეგაღე და, ვფიქრობ, რომ შიგაც შევიკვრიტე. ა? თქვენ ხომ ეს ამბავი არ იცით ჯერ კიდევ! დიდი ამბავია ჩემს სულში, რომელიც ჩემთან აღარ არის და იქ არის სულ. უთქვენოდ არ შევდიგარ. მეგობრებო, არ დააყოვნოთ! ჲო, ნატახტარში აღმოვაჩინე საიდუმლო ჭის თავი, რომელიც არავის არ უნახავს და რომელსაც ფოლადისებური ხმა გამოსდის. ა? დამიჯერეთ და ამის მიღების უმაღვე მანდედან აიყარეთ. მოგელით ყოველ საათს. უფრო მაღლეც, თუ მართალი გინდათ. თუ სახლში არ დაგხვდეთ, ნატახტარში ამოდით. მისი თხემის სამხრეთით დადექით და დამიძახეთ. არაფერი არ... მალე!“

ასეთ წერილს შემდეგ ძმად ნაფიცებს ქალაქში რა მოაცდევინებდა?! ოთარს წერილის მიღებისთანავე უნდოდა გამგზავრება, მაგრამ ფრთხილმა და იქვიანმა იოთამმა შეაყენა გულფიცხი მეგობარი. ოორნიკეს კი, საზოგადოდ, არ სჩვევოდა აღელვება და აჩქარება.

— მაინცა და მაინც, მეგობრებო, თქვენ კარგად იცით, რომ ნატახტარში უბრალო ქვაც კი არ დაგვიტოვებია გაუსინჯავი, ხოლო რაც შეეხება მის ეხებს, როგორც ეძახის ყარამანი ნაციხარის გამოქვაბულებს, არა ერთი ღლე დაგვიღმებია მათ კედლებს შორის. ყარამანის წერილი მე მის დაწერილად არ მიმაჩნია. სად შეიძლება ნატახტარზე ჭა რომ იყოს? ან ვის გაუფონია ჭას ხმა გამოდიოდეს და ისიც ფოლადისებური? მე თუ მკითხავთ, აქ გაუგებრობაა. ჩვენ ჩვენს გეგმას ნუ გადავსცდებით: წლევანდელი ზაფხული კიდევ ხეთანას მოვანდომოთ და, როცა დრო დადგება, მაშინ გავემგზავროთ ჩვენს ძვირფას მეგობართან! — ამბობდა ოთამი.



— მეც ასე მგონია! — დაუკრა კვერი თორნიკეშ. — გაუგბრობა უნდა იყოს ყარამანის წერილი. თუმცა, მგონია, რომ მაინც ყარამანის ხელითაა იგი დაწერილი! უპნაურობაა რაღაცა! მივწეროთ წერილი, შეგვატყობინოს, რა ამბავია მის თავს.

— ჰელ, თქვენ არ გინდათ გაიკოთ, მეგობრებო, რომ აქ რაღაც საკვირველი აღმიჩნა! ვიცი, სასწაული არ გვწამს, მაგრამ არც ჩემს ბიძას სწამს იგი! მისი ხელითაა ნამდვილად წერილი დაწერილი. მე ეჭიო არ მაქვს, რომ ეს წერილი ჩვენს ცხოვრებაში დიდი ზაფხულის მომასწავებელია! მგონია, რომ დაყოვნება არ ვარგა. თუ დღეს არა, ხვალ მაინც უთუოდ გავემგზავროთ! — ამბობდა ოთარი.

— მე კი ვფიქრობ, რომ არც ჭა სწერია წერილში და არც ხმა, არამედ სულ სხვა სიტყვებია და ჩვენ კი ვერ ამოვიკითხეთ! ხომ ნახეთ, რა არეულად არის ნაწერი. ყარამანი კიდევ ხშირად ხმარობს სრულიად უცნობ სიტყვებს, რომ-

ლებიც ჩვენც არ გვესხის ხოლმე! მა, რა კა და რა ხმა გა-
 ჩნდებოდა ახლა ნატახტარში, რომელსაც ჩემი ხელისგული-
 ვით ვიცნობ! დაუჯერებელი რამ არის! — ცხარობდა იოთა-
 მი. — ყოველ შემთხვევაში, თუ გინდათ, ხვალ წავიდეთ! ყა-
 ბულსა ვარ! მით უმეტეს, რომ სწავლა გათავებულია და ესეც
 არ იყოს, უკვე საკმარისხდ მოგვდეზრდა იგი!

— აგრე იყოს, რა ვქნა! მაგრამ თუ დავაგვიანეთ — ბრა-
 ლი თქვენ. ჩემი მხრით კი გამიფრთხილებიხართ: ყარამანი ტყუ-
 ილა უბრალოდ არ აღელდება და არ აჩქირდება! — დაამთავრა
 კამათი ოთარიმა და მოუწოდა მეგობრებს სოფელში გასამგზავრე-
 ბლად სამზადისს შესდგომოდენ.



III.

საღამო იყო. ახალუხის ამარა ყირამანი ფანჯრის ჭინ
 საწერ მაგიდას უჯდა თავის ოთახში, ხელში სახაზვი ეჭირა
 და მის ჭინ მდებარე დახასულ ფართო ქაღალდს სინჯავდა.
 ერთ ყურზე ფანქარი ჩამოედვა, მეორზე კი გაკეთებული პა-
 პიროზი და დიდი გულმოლებინებით ათვალიერებდა ქაღალდს,
 რომელსაც რუქას სახე ჰქონდა.

სულ სამი მთავარი ხაზი გადიოდა გარდი-გარდმო რუ-
 ქაზე. ერთი ზლაზენით იყო გაყვანილი, ხვეულებით, სულ
 თავში. მის ჭვემოდ მეორე იყო დახატული უფრო სწორე.

მესამე კი უფრო წერტილებისა და კითხვის ნიშნებისაგან შეღებოდა. პირველი ხაზის გაყოლებაზე მარჯვნით, მთის აღმნიშვნელი ნიშნის გვერდით, დიდი წერტილი იყო დასმული და ქვეშ რამდენჯერმე ხაზგასმული. მეორე ხაზზე პატარა ჯვრები ესვა აქა-იქ, ხოლო პირველი ხაზის დიდი წერტილის პირდაპირ ქვემოდ პატარა ორ ხვეულები იყო დახატული, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „ესი № 2“. ოთხეუთხელიდან რამდენიმე ხაზი იყო გაყვანილი ძირს, მესამე მთავარი ხაზისაკენ, რომელსაც გასწვრივ სხვილად ეწერა: „ვარაუდია. შეიძლება არ გამართლდეს“. რუქას ქვემოდ მოლიდოდ ეწერა: „ნატახტარის ახალი გეგმა“.

ყარამანი დღეს დამშვიდებული იყო. სრულიად არ ეტყობოდა, რომ იგი იყო ავტორი მეგობრების ამაფორიაქებელი წერილისა. ხოლო ხანდახან თავისთვის ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „უთუოდ იქნება“, ან: „საიდუმლოებაა დიდი,“ თავს აწევდა რუქიდან და სივრცეში გაიხედავდა. თვალები ცისფერი ჰქონდა, ღრმად მეტყველი. დღეს იგი უფრო ლაქვარდს ემსგავსებოდა ვარსკვლავების ციალით განათებულს. სიხარულის სინათლე კიაფობდა მის თვალებში. მიუხედავად წლოვანებისა ყარამანს ბავშური სახე ჰქონდა, რომელზედაც განუწყვეტლად გადად-გადმოლიოდენ აკვიატებული, თუ გნებავთ, უინიანი აზრების ჩრდილები. მეზობლების აზრით, ყარამანი უკრაური იყო, ცხოვრებაში მოუხმარებელი და გამოუდეგარი კაცი, რომელიც აზრით ყოველთვის ძალიან შორს იყო სინამდვილისაგან და სულ ოცნების მხარეში ცხოვრობდა.

ყარამანი ამ საღამოს უთუოთ მოელოდა მეგობრებს ქალაქიდან. მესამე დღე იყო გასული, რაც წერილი გაგზავნა, და ეჭვიც კი არ ებადებოდა იმისა, რომ მისი მეგობრები კიდევ დაყოვნებდენ. მან იცოდა მატარებლის გავლის ღრო ახლობელ სადგურზე და ღროც ჰქონდა დანიშნული, თუ როდის უნდა გამოჩენილიყვნენ სტუმრები მისი ეზოს კართან.

ისიც იყო მზეც ჩავიდა. ყარამანმა ჩამოილო ყურიდან ფანქარი, პაპიროსი პირში ჩაიდა, გააბოლა. მაგიდა მიალავ-მოალავა, რუქაზე ერთი სქელი წიგნი დადვა, რომ ქარს არ

გადაეკდო, მერმე მოღიმარი დამშვიდებული სახით აივანზე გამოვიდა და კიბით ეზოში დაეშვა. ალაყაფის კარებისაკენ იცქი-
რებოდა და ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა მას. ყარამანის
მისვლი კარებთან და ოთარისა, ოოთამისა და ოორნიკეს გა-
მოჩენა შარის თავში ერთი იყო. ძმად ნიფიცები სამხედრო
მარშით მოდიოდენ, განზომილი, მაგრამ აჩქარებული ნაბი-
ჯით, წელში გამარტიულები და მაღლა თავაწეულები. ზურ-
გზე ხურჯინები აეკიდათ და ჯოხები კი დაემარქათებიათ.

მათ ლანახვაზე ყარამანს სულ გაუბრწყინდა სახე.

— ჩემი შევარდნები! — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა მან,



გააღო ფართოდ კარები, გავიღა შარაზე და ხმა მაღლა მხია-
რულად შესძახა სტუმრებს:

— ბედნიერი იყოს თქვენი ჩამოსვლა ამ ზაფხულს, ჩე-
მო მეგობრებო!...

— გაუმბრჯოს ბიძია ყარამანს! — ერთხმად უპასუხეს ძმად
ნაფიცებმა ყარამანს შორიდანვე და მაღლც დაუახლოვდენ. სა-
მივე მეგობარი თვალებმოუცილებლად შესცემოდა ყარამანს
სახეში, თითქო სურდათ ქალაქში მიღებული უცნაური წე-
რილის ამოცანა წინასწარ ამოეკითხათ მის გამომეტყველე-
ბაში.

— ამბავი, ძია ყარამან! წერილის ამბავი მაღლ! — მიმა-
რთა იოთამა, რომელიც შეწითლებულიყო სახეზე სიარული-
საგან და აგზნებული თვალებიდან ნაკვერცხლებსა ჰყრიდა.



— მართლა, რა მოხდა, ბიძა? — შეეკითხა ოთარიც.

— წერილი ძალიან უცნაური იყო! — დინჯად წარმოსთქვა თორჩნიკებ.

ამ სიტყვებით მიგიდენ მეგობრები ყარაბანთან, რომელმაც სათითოოდ ჩაიკრა ისინი გულში და შებლზე აკოცა.

— აფჩარდი მცირეოდენ და მაპატიეთ, მეგობრები! ის წერილი ნაჩქარევად იყო დაშერილი ნატახტარზე... მაგრამ თქვენი ჩამოსვლა მაინც სიჭირო იყო. რაც გაუწყეთ, მართალია. — ამ სიტყვებით მოჰქია ხელი მეგობრებს ყარაბანმა და შინ წამოიყანა.

— რა იყო მართლა? ჩვენ ვერაფერი ვერ გავიგეთ! — მორცხვად სთქვა მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ ოთარმა და ბიძას თვალები გაუსწორა.

— გაუგებარი იქნებოდა უთუოდ.. მაგონდება ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ჩემმა აღმოჩენამ ხელიალა დააწერინოს მეცნიერებას საქართველოს ისტორია, სულ ახალი გაშუქებითა და უცნობი ფაქტებით! მე ეს მწამს! თუმცა თქვენ ისე ღელავთ, რომ თუ თავიდან დალაგებით არ გიამბეთ ჩემი აღმოჩენის ამბავი, ვერაფერს ვერ გაიგებთ! თქვენ ახლა ღელავთ და გეტუობათ მოუთმენლობა, მე კი დამშვიდებული ვარ... როცა წერილს გწერდით, წინააღმდევ, მე ვიყავი აღლვებული, თქვენ კი სრულიად დამშვიდებული იქნებოდით. ხა-ხა-ხა!... მიხარია, მიხარია თქვენი ჩამოსვლა!

ამ სიტყვებით მეგობრები აივანზე ავიდენ. ოთარმა პირველმა მოჰქია თვალი მაგიდაზე მდებარე რუქას.

— ნატახტარის ახალი გეგმა? — ხმამაღლა წამოიკივლა მან. — რომელი გეგმაა ეს ახლი გეგმა, ბიძა?!

— ეს ჩემი ახალი აღმოჩენის მიხედვით შედგენილი გეგმაა, მეგობარო!... მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა კი თქვენ ივახშეთ. ცოტა შეისვენეთ, და მერმე მე გიამბობო ჩემს ამბავს!... —

ყარაბანის ეს წინადაღება მოეწონა მეგობრებს. ისინი მოითხოვდენ დაუყოვნებლივ ამბის მბობას მისგან. მაგრამ ვაშმის თავდარიგი უკვე წინასწარ დაეჭირათ მასპინძლისას.

სუფრაც გაეწყოთ. როცა მეგობრები სახლში შევიდენ, ყარამანს ბევრი პატივი არ დასჭირებია, — სკამებშემოწყობილმა სუფრამ თავისთავად მიიჩიდა ნამზავრი ყმაწვილები. ხელის დაბანაც ძლივს მოასწრეს. ამ შემთხვევაში სულმა პირველობა კუშის დაუთმო: — მოშივებოდათ ძმად ნაფიცებს.

IV.

— სწორედ ამ ხუთიოდე დღის წინად, საღამო ეამს, შემთხვევით მოგხვდი ჩვენს ნატახტარზე. — დაიწყო ნავახშმევს ყარამანმა, როცა მეგობრები აივანზე გამოვიდენ და გულმკერდ შეხსნილები მოკალათდენ ერთ გრძელ სკამზე საყვარელი ბიძიას პირდაპირ, რომელიც მავიდას მიჯდომოდა და წინ თავისი რუქა დაედგა. ოთახის ფანჯრიდან პატარა ლამპის სინათლე ოთხკუთხად ეცემოდა ყარამანის საწერ მაგიდას და მასზე მიმჯდარი ყარამანის სახეს პირდაპირ ანათებდა. მეგობრები კი სინათლისკენ ზურგით ისხდენ და ასე თვალებში შესცეკროდენ ყარამანს. — დღის პაპანებით დასიცხულს მესიამოვნა ნატახტარის გრილი ფშვენა. განსაკუთრებული საამო სიო უბერავდა სამხრეთიდან. ამ მხრით, მოგეხსებებათ, ნატახტარის მაღლობი ჩამოჭრილივითაა და მისი კლდის კედელი პირდაპირ გადაჰყურებს ლრმა ხრამიან ოღროს, რომლის იქით ეგრედ წოდებული „კაციას მაღლობი“ იწყება. სწორედ ამ მხრით მოდიოდა განსაკუთრებული საამო სიო. მენატახტარის თხემზე ავედი და ერთი კლდის ძირში მივწექი. უნდა გაუწყოთ, რომ იმ საღამოს არაჩვეულებრივი სულიერი განწყობილება მქონდა. ალბად ნატახტარის ჰავების ბრალი იყო, რომ სული ჩემი უჩვეულო სიხარულით იყო აღსავსე და ძალიან მაღლა დაფრინავდა. ადამიანის ცხოვრებაში ხშირია ისეთი წუთები, როცა სული ზედმიწევნით გამახვილებულია და ჩუმი, უტყვი აფრთვენება მოიცავს მთელ მის არსებას. უცნაური აზრების დენა წარმოებდა ჩემში. თითქო ყველაფერი ცხადი ყოფილიყოს ჩემთვის ამ ქვეყანაზე. ათას რასმე ვფიქრობდი ერთდროულად, მაგრამ უმთავრესი ფიქრი ჩვენი ქვეყნის ხალხის გამოუცნობელ წარსულს დასტრიიალებდა.

უცნაურია ისტორია. ჩვენი კიდევ განსაკუთრებულად.
 აიღოთ, თუ გინდა ნატახტარი. რა არის იგი? რა იყო წინად?
 ჩვენ ხომ შეგვისწავლია მისი ნანგრევები, გამოგვიკვლევია
 მისი ისტორია, მაგრამ სულს ქვემა სთქვით, რომელს თქვე-
 ნგანს შეუძლია იმის თქმა. თუ რა იყო იგი, რას წარმოად-
 გნდა ძველად, ან თუ რომელ საუკუნეს ეკუთვნის მისი და-
 საბამი? ვარაუდებია მხოლოდ, ნამდვილად კი ვინ იცის, ვინ ააშე-
 ნა იგი, ვინ ცხოვრობდა ზიგ!... ჰე, რა საცოდაფები ვართ
 ჩვენ, მეგობრებო, როცა ვდგავართ მუნჯი ნაშთების წინაშე



და ვცდილობთ მათ სახეებში ამოვიკითხოთ ეამთა ფარდით
 დაფარული საიდუმლოება წარსულისა.

სწორედ ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული და კიდევ, ვინ
 იცის, რანაირი შთაგონებანი არ აალებდენ ჩემს სულს, რომ
 უცებ საკირველი რამ ხმაურობა ჩამესმა ყურში. მივიხედ-მო-
 ვიხედე. გავიმახვილე ყურთა სმენა. სიოში იყო გართული
 იგი ხმაურობდა, მაგრამ ისე იქრებოდა ჩემს ყურში, თით-
 ქო საიდანლაც ვიღაცა უცხო ცდილობდა ჩემი ყურადღების
 მიპყრობას. ავდექი. დავთვალიერე იქაურობა, მაგრამ ჩემ
 წინ ნაცნობი ნატახტარის თხემი იყო და სხვა არაფერი. ხმა-
 ურობა კი სულ ჩამესმოდა ყურში და მიღორიაქებდა მთელს

არსების, ასე მეგონა, თითქოს გარკვეულ ბეჭრასა და სიტყვებს ვაჩჩევდი მასში და თითქოს აზრიც რაღაცნაირი მესმოდა. მივყევ-მოვყევი უოველი მხრით ამ ხმაურობას, რომ დამენახა მისი სათავე. მაგრამ მიზანს ვერ ვეწიე.

ჩემი გაკვირვება უზომო იყო. რა მექნა, არ ვიცოდი.

ბოლოს თითქოს შევაჩვიე ყური ხმაურობას და ოდნავ დავწყინარლი. აზრი მომივიდა, რომ ეს სიოს მოტანილი ხმა იყო—რომელიმე ხევიდან, ან მთიდან. მაგრამ უცხო ხმაურობა საკვირველი დაუინებით ჩამწიოდა ყურში და ისე ციფად მივლიდა მთელ სხეულზე, თითქო შეთოვებს მიპირებდა. ერთხანს ისიც მომეჩვნენა, რომ ადამიანის ხმას ჰვავდა, საღმეჯურლმულში ჩამწყვდეულს და საშინლად მყიფანს.

თქვენ კარგად იცით, რომ ნატახტარის თხემი არც ისე-დიდია. მე მაინც მეჩვენებოდა, რომ სწორედ ნატახტარიდან მოდიოდა იგი ხმა. რამდენჯერმე შემოვუარე გარშემო ნატახტარს, გადავჭრი გარდი-გარდმო. ერთ ადგილის ვიკრძენი, თითქო ხმა უფრო მკვეთრად ჩამესმა ყურში. შევსდევი. ეს იყო ცოტათი დაქანებული ადგილი, კლდეთა შორის მიჩქალული. სმენად და მზერად გადვიქეცი. — სრულიად მოულოდნელად, მაშინალურად მივაპყარ თვალი ერთი კლდის ძირს-დავინახე რგვალად ამოჭრილი ადგილი, რომელიც შავად გამოიყურებოდა კლდის ძირიდან. მივუახლოვდი.

მე ვერ გადმოუცემთ იმ გაკვირვებას, რომელიც განვიცადე ამ ადგილთან მიახლოვებისას. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ჩემი სულიერი უოფა და მე მხოლოდ ფაქტებს გადმოგცემთ.

მიახლოვებისთანავე ვიკრძენი, რომ ის უცნაური ხმა სწორედ ამ ჩაღრმავებული ადგილიდან ამოდიოდა. დავვარდი მუხლებზე და ჩავიხედე შიგ. — ეჭვი არ იყო, რომ უცნაური ადგილი ხმიანობდა. დათვალიერებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ეს ღრმა ადგილი ჭავა ჰვავდა და მისი გვირბი პირდაპირი ხაზით ჩადიოდა ძირს, როგორც ჭაში, მხოლოდ იგი უფრო იწრო იყო, ვინემ ჩვეულებრივი ჭა.

ჩახედვით ვერაფერი ვერ გავარკვიე. დღის სინათლე ჯერ კიდევ იმდენი იყო, რომ მიშლიდა სიღრმეში რამე გამერკვია.

ამიტომ გავიხადე ახალუხი, ჩამოვითარე ფართოდ თავზე და
ამ სახით ჩავიჭვრიტე სიღრმეში.—ძირი არა ჩანდა. ხოლო
ხმა სულ ერთსა და იმავე ტონზე ისმოდა, შთაბეჭდილება
ისეთი იყო, რომ იგი საიდანდაც ძირიდან მოდიოდა, მძი-
მედ, თითქოს დატვირთული ყოფილიყოს, ან ძალზე შეკუმ-
შული.

ერთ ხანს შემდეგ ავდექი. მინდოდა გამომერკვია ადგი-
ლი ჭის თავისა. ოღმოჩნდა, რომ იგი № 1 ეხის პირდაპირ ხაზ-
ზე იმყოფებოდა, მაღლა. ამ გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურად-
ღება. თუ გახსოვთ, ჩვენი გეგმით ნატახტარი ორ სართულს
შეიცავს. ქვემო სართული ეხებს წარმოადგენს, ხოლო
ზემო—ქვითებით ნაშენები ციხისა თუ რომელიმე სხვა შე-
ნობის დანგრეულ კედელს და გალავანს. ზემო სართული-
დან ან თხემიდან ქვემო სართულამდი ან ეხებამდი ჩვენი გა-
მოანგარიშებით 80—100 ნაბიჯია პირდაპირი ხაზით.

აქედან მე ის დასკვნა გამოვიწანე, რომ ჭა წარმოად-
გენს ეხების საიდუმლო შესავალს და, რადგანაც იგი № 1
ეხის პირდაპირ იმყოფება, უთუოდ უნდა ჩაღიოდეს ამ
ეხში მეთქი. რაც შეეხება ხმას, ამ დასკვნის მიხედვით, იგი
უნდა ყოფილიყო ორი ქარის შედეგი, გამკრავი ქარის ახ-
მაურება საიდუმლო იწრო გვირაბის ზღუდეთა შორის. ეს
ცხადი იყო, თუ წარმოვიდგენთ, რომ ეხების შესავალი ნა-
ტახტარის დაქანებულ კალთებზეა, დაბლა.

ამ ჩემს მიხედრას ის გარემოებაც ადასტურებდა, რომ
განსაკუთრებით № 1 ეხში ყოველთვის ორი ქარის მსგავსად
მოძრაობს ჰაერი. თუ მოიგონებთ, ამ მოვლენას არა ერთ-
ხელ გავუკვირვებივართ. თუ არ ვცდები, მგონი, ერთხელ
იოთამაც კი სოქვა—ამ ეხს უთუოდ მეორე კარიც უნდა
ჰქონდეს სადმეო.

ისეთმა მოსაზრებებმა სრულიად დამაწყნარა და საიდუ-
მლოების ფარდა ჩამოჰხადა როგორც ჭას, ისე მის ხმაურო-
ბას. მივანებე ჭას თავი და ძირს დავეშვი. შევედი № 1 ეხ-
ში. უკვე ბნელოდა გარედაც, ეხში კი ლამე იყო დამკვიდ-
რებული. თვალით ვერაფერი ვერ გვეარევიყ, ხოლო ახლა
უფრო ცხადად ვიგრძენი, რომ ეხში უთუოდ ორი ქარი მო-

ძრაობდა. ასე წარმოვიდგინე, რომ ეხის ჭერში აღმად, საიდუმლო გვირაბი იწყება და იმის მეორე თავია ზევით, ნატახტარის თხემში ამოსული მეთქი.

უთუოდ საინტერესო და ახალი რამ იყო ეს აღმოჩენა. გადავწყვიტე გულში, დილით ამოვსულიყავი, წამომელო ჩევნი გვირაბების დასაზომი თოკი, კარგად გამესინჯა პირველი ეხის ჭერი და შემდეგ თოკი ჩამეშვა გვირაბის ზემო თავიდან და ამნაირად გამეზომა იგი.

მეორე დღეს ახალ გათენებულზე, თოკით, ფარნით და ზოგი სხვა მოწყობილობით ავედი ნატახტარზე. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა პირველი ეხის ჭერის ზეღლიწევნითმა დათვალიერებამ სასურველი შედეგი არ მომცა. მტკაველის ოდენი ადგილიც კი არ დამიტოვებია ჭერზე გაუსინჯავი, და აღარსად კი არ აღმოჩნდა არა თუ გვირაბის თავი, არამედ ონავი ნიშანიც კი იმისა, რომ საღმე ჭუჭრუტანაც ყოფილიყო.

დავლონდი. მეორე ეხზე არ მითიქრია, რადგანაც, როგორც იცით, იგი პირველიდან ხუთიოდე საუენის მანძილზეა დაშორებული სამხრეთის მხრით და უფრო დაბლაც იმყოფება დაქანებულზე.

ავედი ზევით, ჭის თავზე. ხმაურობა სრულიად უცვლესად მომდინარეობდა ჭის სილრმიდან. ბევრი არ დამიყოვნებია, გავშელე ჩევნი დიდი ასაღლიანი თოკი, ჩავდევი მისი ერთი თავის ბოლოს მიბმული ბადის ჩანთაში მძიმე ქვა და ჩავუშვი ქაში.

V.

—თოკი თავისუფლად ჩასრიალდა გვირაბში. გამიკვირდა მხოლოდ, რომ აგერ იციოდე აღლზე უფრო ლრმად ჩავიდა თოკი და ქვა არსად არ შექრებულა არც კი შექანებულა. მეოცდა ხუთე აღლზე კი ქვის სიმძიმის ძალა უცრად შეწყდა, მერმე უეცრადვე ისევ დამქაჩა და ხელში ვიგრძენი, რომ თოკმა მიმართულება გამოიცვალა. ეს იყო ერთი წამის საქმე. ამავე ხნის განმავლობაში იმ ლროს ხმაც შეწყდა და მყისვე განახლდა ისევ, როგორც კი თოკის ქვამ იწყო სვლა.

შევაყენე თოკი. ეს რა უნდა იყოს მეთქი? ახლა ჩემ-
სკენ მოვაწიო. სწორედ იმავე ოცდა ხუთი ადლის სიგრძეზე,
შემიქანა თოკმა ხელი, თითქმ მიმართულება გამოიცალა,
და იმავე წამში ხმაც შეწყდა, ხოლო კვლავ განახლდა, რო-
გორც კი თოკი მეოცდახუთე ადლს გადმოცილდა ჩემს ხე-
ლში.

კვლავ ჩავუშვი თოკი. მე-25 ადლზე კვლავ განმეორდა
ზემოაღნიშნული მოვლენა. ვერაფერი ვერ მოვიაზრე, ხოლო
გარინდული კი დავრჩი.

თოკმა ისევ თავისუფლად განაგრძო სვლა. სამი ადლი
და შემრჩა ხელშა, როცა ქვის სიმძიმე გამეცალა ხელიდან
და თოკის სიმჩატემ თავისთვად შემიყენა ხელი. ეს იყო თო-
კის 97 ადლის სიგრძეზე.

იქვე, კლდის ერთ წვეტიან ტოტზე მივაბი თოკის თა-
ვი, და გაჩქარებით დავეშვი ნატახტარის ფერდობით. ყოველ
შემთხვევისათვის მივა შურე პირველ ეხს, ვინძლო ჭის თავი
მისთან ყოფილიყო შეერთებული და ახლა დამენახა ივი. და-
ასლობით სწორედ მიჩვენებდა თოკის სიგრძე მათ გამყო-
ფელ მანძილს, თუმცა პირველ ეხამდე გრძლად მომენტენა
97 ადლის სიგრძე. ჩემი ეჭვი გამართლდა; პირველ ეხში ვერ
აღმოაჩინე ჩემი თოკის ქვა. მისი ჭერი და კედლები ისე
იყვნენ შეკრულნი, რომ ერთი ზიანიც კი არსად არ ჭონდათ.
გამვადი და მეორე ეხში შევედი.

თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა:—შეველი ამ
ეხში თუ არა, მაშინვე დავინახე ჩემი თოკის ქვა იატაკზე,
შუა ადგილას. როცა ავაყოლე თვალი თოკს, შევხედე, რომ
იგი ჭერიდან იყო დაშვებული. დავაკვირდი: გვირაბის თავი
აქედან სწორედ იმავე ზომისა იყო, როგორიც ნატახტარის
თხემზე ჩემ მიერ პირველად აღმოჩენილი მისი ზემო თავი.
უცნაური ისაა, რომ ეხში ჰაერი დახშულია საზოგადოდ და
არავითარი ჰაერის მოძრაობის ნიშანწყალი იქ არ არის. ამ
მხრით ეს ეხი საოცრად განსხვავდება პირველი ეხისაგან, რო-
მლის ჰაერი გაცილებით უფრო დახშული უნდა ყოფილიყო,
რადგანაც მას ერთი შესავალი კარის გარდა ჭუჭრუტანაც კი
არსად აქვს, მაშინ როდესაც მეორე ეხი კარის გარდა საი-

დუმლო გვირაბითაც შეერთებული ყოფილი გარეშე ჰაერთან...

ამ შენიშვნებს თავისთავად აკეთებდა ჩემი გონება და ფაქტებს აღნიშნავდა მხოლოდ. დასკვნებისათვის კი მას ჯერ კიდევ საკმაო მასალა არ მოეპოვებოდა.

ხელუხლებლად დავტოვე ქვა და თოკი ეხში და ისევ დავუბრუნდი ნატახტარის თავს.—თოკის მეოცდახუთე ადლის სიგრძეზე რომ მოვლენას ადგილი, პქონდა ახლა ის იქცევდა ჩემს ყურადღებას. ჩემთვის ვფიქრობდი, რომ თუ იყო რამე საიდუმლო და ღირსშესანიშნავი მოელ ამ ისტორიაში, მისი ამოცანა სწორედ იქ უნდა ყოფილიყო, სადაც თოკი მიმართულებას იცვლიდა და ხმაც საკვირველად წყდებოდა.

მოვწიო თოკი. დამნებდა ადვილად. მეოცდახუთე ადლზე უნდა შემეჩერებია, მაგრამ სანამ მოვასწრებდი ამას, ზემოდ აღნიშნულ მოვლენას ახლაც თავისთავად მიეცა ადგილი: ხმა შეწყდა, ქვის სიმძიმე ხელიდან უეკრად გამომეცალა და თოკმაც წინანდებურად გამოიცვალა მიმართულება. გავაჩერე ერთ ადგილას თოკი. მოველოდი, რომ ხმის შეწყვეტა გახანგრძლივდებოდა, მაგრამ ქვა რამდენჯერმე შეინძრა ერთსა და იმავე ადგილას, თითქო ვისმე ხელი ექრას მისთვის, და მერმე შეჩერდა მისი მოძრაობა.

არ ვიცი, მომეჩვენა, თუ მართლა იყო, ხოლო ვიგრძენი კი, რომ ახლა ხმა უფრო მკვეთრი იყო და... წარმოიდგინეთ, თითქო განსაზღვრულ ბგერასაც ვარჩევდი მის ერთტონიან მდინარებაში.

ყური მივაპყარ და სმენაც გადავიქცეცი.

მე თქვენ კარგად მიცნობთ, მეგობრებო, და არ მგონია დამწამოთ აზრის სისუსტე. ყოველთვის მჩვევია ხოლმე მოსაზრებათა ფაქტებზე დამყარება და ჩემი დასკვნა ყოველთვის პირდაპირ გამომდინარეობს სინამდვილის მრავალმხრივი განსინჯვისაგან. ჩვენი საყვარელი საქმეც ასეთ მეთოდს მოითხოვს. ძალიან სახიფათოა ხოლმე ფინტაზის აყოლა და განყენებული მსჯელობა. ისიც ვიცი, რომ ბუნებაში არის ერთგვარი კანონთანაბრობა, რომელიც ჩვენ, აუამიანებს, შეძლებას გვაძლევს გამოვერკვიოთ ხოლმე მოვლენებში. კიდევაც რომ არ არსებობდეს ეს კანონთანაბრობა ჩვენს გარეშე

და ჩვენ ვიყოთ მისი შემტანი ბუნებაში, მაინც იგი ერთნა-
ირი ლარია, თუ შეიძლება, ასე ვსთქვათ, რომლითაც მიმღი-
ნარების ჩვენი აზროვნება და რომლის გარეშე შეუძლებე-
ლია აზრის დაწყობილად გამართვა. ამის მიხედვით, ჩვენ ვი-
ცით წინასწარ, რა არის შესაძლებელი და შეუძლებელი ბუ-
ნებაში.

მე სასწაული არ მწამს. მწამს მხოლოდ, რომ ადვილად
შესაძლებელია ადამიანი მოტყუვდეს. ეს იმიტომ რომ ჩვენი
საცნობი ორგანოები სრულყოფილნი არ არიან... არ ვიცი,
მოვტყუვდი, არ ვიცი, მომეჩვენა, ისიც არ ვიცი, ეს ჩემმა
ოცნებამ დაბადა, თუ მართლა იყო, მაგრამ ვიცი, რომ ერთ
წამში შეუძლებლობის საზღვარი გაირღვა ჩემი ცნობიერების
წინ და ჩემი გულის საიდუმლო სმენის კარები შეარღვია ხმამ,
რომელმაც საკვირველი ნიშნებით მაცნობა, რომ სწორედ ამ
ოცდა ხუთი ადლის სიღრმეზე არის კარი, რომელიც უტყუ-
არად მიგვიყვანს ჩვენი დიდი წარსულის საიდუმლოებათა
უდიდეს საცავამდის...

მეცნობა თუ არა ეს აზრი, ჩემი სული ისეთმა სიხარულ-
მა მოიცვა, რომ ცას ვეწიე. ასე მეგონა, რომ უკვე იმ სა-
იდუმლოებათა საცავში ვიმყოფებოდი და უმთა თვალი და
ყური მესხმოდა და არაფერი არ იყო ქვეყნად უკვე, რაც
ჩემი ცნობის გარეშე იმყოფებოდა.

იქვე კლდეს მოვახეიე გარშემო თოკის თავი. ავდეჭი და
ხმა მაღლა წარმოესთქვი:

— აპა, ჩემო ნატახტარო, მხოლოდ ახლა დავაკაკუნე
შენი საიდუმლოების კარებზე და მალეც მელოდე ჩემი მე-
გობრებითურთ! ამოვიღე ფანქარი და ქაღალდი ჯიბიდან და
იქვე დავწერე ის წერილი, რომელმაც ასე დააჩქარა თქვენი
ქალაქიდან ჩამოსვლა.

VI.

აქ შესწყვიტა ყარაბანმა სიტყვა. დიდი ხნით სიჩუმე არ
დარღვეულა. მეგობრები ჯერ კიდევ თვალებმოუცილებლად
შესცემოდენ ყარაბანს, თითქოს ახლა მის აფრთხოვანებულ
სახეზე კითხულობდენ უცნაური ამბის გაგრძელებას.

— მე ეოველთვის მეგონა, რომ ჩვენი ნატახტარი რა-

ლაცა უფრო დიდი იყო გაცილებით, ვიდრე ჩვენ გვქონდა
მასზე წარმოდგენა! — სთქვა ბოლოს ოთარმა. — ვწუხვარ, რომ
დიდი დრო დარჩა გათენებამდის, და ღამეა. მოთმინება არ
მყოფნის დღის სინათლის სალოდინოდ!

— ა? რა დიდი აღმოჩენა! — მძიმედ ჩაილაპარაკა თო-
რნიკემ და ისე ამოიოხრა, თითქო მხოლოდ ახლა შეესვე-
ნებიოს დაჭიმული ყურადღება.

— რა თქმა უნდა, რომ დიდი ამბავი მოვისმინეთ. მა-
გრამ ხვალინდელი დღე უფრო ბევრ რასმე გვეტყვის... მე-
ეჭვი არა მაქვს, რომ ყარამანს სწორი მიხვედრა აქვს, მა-
გრამ ისიც შესაძლებელია, რომ არ გაუმართლდეს აზრი და
ის გვირჩი მხოლოდ უბრალო გასავალი იყოს მეორე
ებიდან მაღლა... ამას იმიტომ ვამბობ, რომ არა ერთხელ და
ორჯერ ყოფილი ჩვენს ცხოვრებაში, როცა დიდს რასმე მო-
ველოდით და უმნიშვნელოს კი მოვიპოვებდით. — სთქვა იმ-
თამა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — თითქო გააწყვე-
ტინა მას სიტყვა ყარამანმა. — მაგრამ ეს შემთხვევა სულ
სხვა გვარისაა, მეგობრებო! ახლა ჩემი რწმენა წინანდელ წი-
ნაგრძნობებს არა ჰგავს. მიხვედრა ჩემი უტყუარია, და ხვალ
რომ იმ ჭის თავზე იქნებით და მოისმენთ იმ ხმას, იქნება
თქვენც გენიშნოთ ის, რაც მე მენიშნა!...

კოტა ხანი კიდევ გავიდა ასეთ საუბარში. მერმე ყარა-
მანმა რუქაც გადუშალა მეგობრებს, აჩვენა ნატახტარის ახა-
ლი გევმა, რასაც მოჰყევა ხვალინდელი დღის მუშაობის გე-
გმის შემუშავება.

გევმა არ იყო რაული. მეკობრებმა ერთხმად გადასწ-
ყვიტეს ჩისულიყვნენ ჭაში და თავიდან ბოლომდის დაეთვა-
ლიერებიათ ყარამანის მიერ აღმოჩენილი გვირაბი.

ლეო ქიაჩელი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).



ღ ე ღ ბ.

(ზ ღ აპ ა რ ი.)

ყეში მიდიოდა კუდიანი დედაკაცი. ზურგზე არყის ხის ქერქის პარკში ბავში უჯდა — ხორბა, უსმგავსი, ბასრქბილებიანი, ნეკებ-კლან-ჭებიანი და ჯაგრის მსგავს თმიანი. კუდიანს ეგონა, რომ იმის უმშევენიერესი ბავში ქვეყნიერებაზედ არ მოიპოვებოდა.

კუდიანი გზის პირს გამოვიდა, სადაც ხშირი ტყე შელებულიყო. გაშიშვლებული ხის ფეხვები ოღრო-ჩოღრო გზას ნასკვებიან ბადესავით ეფინებოდა. გზაზე ცხენებით მოძიოდენ გლეხი და იმისი ცოლი.

კუდიანმა დააპირა მათ ასაცილებლიდ ხშირ ტყეში თავის შეფარება, მაგრავ მიმავალ ქალის ხელში ბავში დაინახა და თავის პირველ განზრახვას თავი დაანება. ქურდულად გზის პირს მითხოვდა და ბუჩქებში ჩაიმალა.

„აბა, ვნახოთ შეუძლია თუ არა აღამიანის შვილს ჩემსას შეედაროს“, გაიფიქრა კუდიანმა.

მაგრამ ცნობის მოყვარეობამ თავი ძალზედ წინ წამოა-წევინა და, როდესაც მგზავრები მიუხსლოვდენ, მისმა აბურ-ძგნილმა უშველებელმა თავმა ცხენები დააფრთხო, ყალყზე დადგენ და მხედრები გაიტაცეს.

გლეხი და მისი ცოლი კინალამ ცხენებიდან ჩამოცივ-დენ. მორთეს ყვირილი, ხელიდან გავარდნილი სადავის ასა-წევად აქეთ იქით იზნიქებოდენ და სწრაფ თვალიდან გაქრენ.

კუდიანი სიბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა, რომ აღა-მიანის ბავშის ნახვა ვერ მოახერხა, მაგრამ ბრაზი უცბად სი-ხარულად გადაექცა: ბავში იქვე დედამიწაზე იწვა, — დედის მკერდს მოსხლეტოდა, როდესაც ის ცხენმა გაიტაცა. ბავში

გამხმარ ფოთლების გროვაზე დაგარღნილიყო დაშავებლად, მხოლოდ შეშინებული იყო და ხმამალლა ტიროდა. დაიღუნა თუ არა ჯადოქალი მის სანახავად ბავში უცნობმა სახემ ისე შეიძყრა, რომ უცებ გაჩუმდა და ხელებით წვერში სწვდა. კუდიანი გაშეშებული იდგა და ადამიანის შვილისთვის თვალი ვერ მოეშორებინა. აკვირდებოდა მის პირისფერ ფრჩხილებიან პაწია ხელებს, მშვიდს, ლურჯ თვალებს და პაწია პირს. შინჯავად მის რბილ თმებს, პაწია ლოყებზე ხელს უსვამდა და ბავშის სიმსუქნეს, სინაზესა და სილამაზეს განცვიფრებაში მოჰყავდა.

კუდიანმა ზურგიდან გუდა ჩამოიღო და თავისი ბავში პატარა ადამიანს გვერდით მოუსვა. როდესაც დაინახა, თუ რა განსხვავება იყო მათ შორის, სიბრაზისაგან ლმუილი დაიწყო.

ამასობაში ცოლ-ქმარმა თავისი ცხენები დაშოშმინეს და ბავშის საძებნელად უკან დაბრუდენ. ცხენების ფეხის ხმა რომ გაიგონა კუდიანმა, კინაღამ ატირდა. ის ჯერ კიდევ ვერ დამტკბარიყო ადამიანის ბავშის მზერით. როდესაც ცხენოსნები მოახლოვდენ, მან თავისი შვილი გზის პირს დასტოვა, ადამიანისა კი გუდაში ჩააგდო და ტყეში გააქანა. ის ის იყო კუდიანი ტყეში გაქრა, რომ ცოლ-ქმარმა ცხენები მოაჭენა. მოიდარი და პატივცემული გლეხები იყვნენ, რომელთაც კარგი სახლ-კარი ჰქონდათ ტყის პი-რას. დიდი ხნის ჯვარ-დაწერილნი იყვნენ, მაგრამ მარტო ესერთად ერთი ვაჟი ჰყავდათ. ადგილი წარმოსადგენია თუ როგორ ესწრაფებოდათ მათ მისი პოვნა.

ცოლმა ქმარს გამოასწრო და გზის პირას ბავში დაინახა.

— ბავში აქ არის! — დაუყირა ქმარს. ცხენიდან ჩამოხტა და მივარდა კუდიანის შვილს.

როცა ქმარი მივუახლოვდა, დაინახა, რომ ცოლი უცნაურად იჯდა ბალაზე და ბავშს აქეთ-იქით ატრიალებდა.

— ჩემს ბავშს გველის ისარივით კბილები არა ჰქონდა, — ამბობდა თავზარ დაცემული ქალი. — ჩემს ბავშს ჯავარსავით თმა არა ჰქონდა! — ჩემს ბავშს ნეკზე კლანჭი არა ჰქონდა!

ქმარს ეგონა, რომ ცოლი ჭკუიდან შეიშალა და ისიც ცხენიდან ჩამოხტა.

— დააკვირდი ბავშვს და მითხარი თუ რა ცვლილებას ატყობ მას? — უთხრა ცოლმა და ბავში მიაწოდა.

ქმარმა ბავში აიყვანა, მაგრამ შეხედა თუ არა, სამჯერ გადააფურთხა და გადაისროლა.

— ეს კუდიანის შვილია და არა ჩვენი, — უთხრა მან.

ცოლი ისევ გზის პირას იჯდა, გონს ვერ მოსულიყო, ვერ გაეგო, თუ რა მოხდა.

— რას ჩასხერებიხარ მაგ ბავშს? — კითხა ჰქმარმა. — ნუ თუ არ გესმის, რომ ეგ გამოცვლილია? როდესაც ჩვენ ცხენებმა გაგვიტაცეს, აქ კუდიანს გაუვლია, ჩვენი ბავში მოუპარავს და, მის მაგივრად. თავისი დაუგდია.

— მაშ სად არის ჩემი შვილი? — ჰქითხა ცოლმა.

— ცხადია, კუდიანთან იქნება, — მიუგო ქმარმა.

ახლა კი მიხვდა ქალი, თუ რა დიდი უბედურება ეწია მას. მთლად გაფიტრდა და ქმარსა ეგონა, რომ იქვე სულს დალევდა.

— არ შეიძლება, რომ ჩვენი ბავში ძალიან შორს იყოს, — სთქვა მან. ცოლი რომ გაემნევებინა, თუმცა თვითონ ყოველი იმედი უკვე დაკარგული ჰქონდა. — მოდი მოვძებნოთ ტყეში.

ცხენები ხეს მიაბა და დაბურულ ტყისკენ გასწია. ქალი ადგა, რომ წაპყოლოდა, მაგრამ დაინახა, რომ ბავში, რომლის შეხედვაც ცხენებს ძალზე ალელვებდა და მალ ფეხებს აცემინებდა, თითქმის მათი ჩლიქების ქვეშ ეგდო. ქალმა ვერ გაბედა, ბავშის ხელში აყვანა, მხოლოდ მისწია გვერდზე, რომ ცხენებს არ ჩაეწიხლათ.

— აი ედარუნა, რომელიც ჩვენს ბავშს ეჭირა, როდესაც შენ ის ხელიდან გაგიგარდა! — დაუძახა ქმარმა ტყიდან. უაუთლ მის კვალს მივაგენ.

ცოლი მიეწია და ორივემ გულმოღინედ ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერც კუდიანი ნახეს და ვერც თავისი შვილი. ბინდებოდა და იძულებული გახდენ ცხენებთან დაბრუნებულიყვნენ.

ცოლი ხელებს იმტვრებდა. და ტიროდა. ქმარი კრიჭა-შეკრული მიდიოდა და ერთ სანუგეშო სიტყვასაც ვერ ეუბნებოდა.

ଜ୍ମାରମା ପ୍ରାଣୀ ପ୍ରେସର୍ସ ଶୈଖଫଳମା ଉପରେ ଉପଦାତ
ମିଗଫେବୁଲ୍ଲା ବାବୁଶୀ ମନୋଗରନାରା.

— ହା ବୁଝିଲା କୁରୁକୀନିଲା ବାବୁଶୀ? — କ୍ଷେତ୍ରକା ମାନ.

— ବାଦ ଆରିଲା? — ଉତ୍ତରକା ଜ୍ମାରମା.

— ଏହି ଆରିଲା ବୁଝିଲା କିମ୍ବା?

— ଏହିଲା ମାନଦ, — ସତ୍ଯକା ଜ୍ମାରମା ମହାରାଜ ଲିଖିଲାନି.

— ଯନ୍ତ୍ର ଥାବୁଧ୍ୟାନନାଟ, ତ୍ୟାଗ କିମ୍ବା ବ୍ୟାଧ ଦାଵାଗର୍ଭେତ.

— ହାତମ? — ଉତ୍ତରକା ଜ୍ମାରମା ଲା ଉତ୍ତାନ୍ତଶୀ ଘେବି ଶୈଖଫଳା.

ପ୍ରାଣମା ଲିଖିଲା, କିମ୍ବା ଜ୍ମାରମା ଆଶେଶିତାଦ ମାରତାଲା ନିମ୍ନ.
ହା ବାବୁଶୀ କ୍ଷେତ୍ରକାତ ମାତ କୁରୁକୀନିଲା ଶୈଖଫଳା? ପ୍ରେସର୍ ବିନ ଥା-
ଗଫଳ, ମାଗରାମ ହାତମରେନ୍ତିଶ୍ଵର ଥିଲୁଟି ଶୈଖଫଳା: ମେହିରାଦ
ଗୁଣିକିଲା ଲା କ୍ଷେତ୍ରକାତ ଅନ୍ତିମିନି ନିମ୍ନ.

— ଆରା, ବି, ହାତ ଯନ୍ତ୍ରଦା ନିମ୍ନ, ବାବୁଶୀକା, ସତ୍ଯକା ମାନ. — ଆର
ଶୈଖିଲାନି ଦାଵାଗର୍ଭ ଏହି ମଧ୍ୟକାରୀ ଶୈଖିଲାନିଲାଦ. ମନମାହିନ୍ଦ୍ରିୟ ଏହି.

— ବାବୁଶୀ ବାବୁଶୀ! — ଉତ୍ତରକା ଜ୍ମାରମା. — ଦାରିକିଲା ଏହି.

— ତାହା ବାବୁଶୀ ମାଗିଲା ଥାବୁଧ୍ୟାନିଲା ନେବାକା ଏହି ମନମଧ୍ୟ, ମାନିନ
ଶାନ୍ତିମାନିଲା ମନମିଳନେବା ଯୁକ୍ତ ଦାତରୁନ୍ତିବା, — ଉତ୍ତରକା ପ୍ରାଣମା.

— ତାହା ବାବୁଶୀ ମାନିନ ଏହି ନିମ୍ନ, କିମ୍ବା କୁରୁକୀନିଲା ବାବୁଶୀ ମନମ-
ଧ୍ୟାନା, — ଥାମନିଦାବା ଜ୍ମାରମା, — ବାବୁଶୀ କିମ୍ବା ପ୍ରାଣମା ପରିଚା!

ମାଗରାମ ମାନିନ ଏହି ବାବୁଶୀ ଲା ପ୍ରାଣମା ମିଳନିଲା, ହାତମା-
ନାତ ଯନ୍ତ୍ରଦା ଲା ପ୍ରାଣମା ପରିଚା ଶୁଭରୁକ୍ତିକାରୀ ଶୁଭରୁକ୍ତିକାରୀ.

ମେହିରା ଦର୍ଶକ ହାତମା ଯୁକ୍ତ ଦାତରୁନ୍ତିବା ମନମଧ୍ୟ ମନମଧ୍ୟ
ଲାଭିଲା ବାବୁଶୀରୁକ୍ତିକାରୀ. ମନମଧ୍ୟ ମନମଧ୍ୟ ଦାତରୁନ୍ତିବା ହାତମା
ବାବୁଶୀରୁକ୍ତିକାରୀ ଏହି କିମ୍ବା ଏହି କିମ୍ବା.

— ବିନ ଶୈଖିଲାନିଲା ବାବୁଶୀ ବାବୁଶୀରୁକ୍ତିକାରୀ, ଯୁକ୍ତ ଦାତରୁନ୍ତିବା
ଶୁଭରୁକ୍ତିକାରୀ ମାଗରାମ ଜ୍ଞାନିତ, — ସତ୍ଯକା ଏହି କିମ୍ବା.

— ହାତ ଯୁକ୍ତ ଦାତରୁନ୍ତିବା ମନମଧ୍ୟ ମନମଧ୍ୟ ଏହି କିମ୍ବା?
— ହାତ ଯୁକ୍ତ ଦାତରୁନ୍ତିବା ମନମଧ୍ୟ ମନମଧ୍ୟ ଏହି କିମ୍ବା?
— ହାତ ଯୁକ୍ତ ଦାତରୁନ୍ତିବା ମନମଧ୍ୟ ମନମଧ୍ୟ ଏହି କିମ୍ବା?

— ମନମଧ୍ୟ ଯୁକ୍ତ ଦାତରୁନ୍ତିବା ମନମଧ୍ୟ ମନମଧ୍ୟ ଏହି କିମ୍ବା?
— ହାତ ଯୁକ୍ତ ଦାତରୁନ୍ତିବା ମନମଧ୍ୟ ମନମଧ୍ୟ ଏହି କିମ୍ବା?
— ହାତ ଯୁକ୍ତ ଦାତରୁନ୍ତିବା ମନମଧ୍ୟ ମନମଧ୍ୟ ଏହି କିମ୍ବା?

— მაგრამ ამისთანა ბავშები დიდხანს ვერ ცოცხლობენ. — დაუმატა მეორე ბებერმა.

დიასახლისმა გაიფიქრა: — „ამისთანა საშუალებას მე ვერაოდეს ვერ მივმართავ“.

საღამოს ქალი მიგდებული ბავშით შინ იჯდა. უცბად შვილის ნახვის ისეთმა მძლავრმა სურვილმა მოუკარა, რომ არ იცოდა რა ექნა და სად წასულიყო. მეზობლების რჩევა მოაგონდა და ერთ წამს თავში გაუელვა, რომ ის შეესრულებინა, მაგრამ გულმა არ უქნა.

ამ დროს ქმარი შემოვიდა დიდი კეტით და იკითხა, თუ სად იყო ბავში.

ცოლი მიხვდა, რომ ქმარს ბრძენი ბებრების რჩევით, სურდა თავის შვილის დასაბრუნებლად კუდიანის შვილისათვის ეცემა.

— ძალიან კარგი იქნება, — გაიფიქრა, მან. — მე ხომ ისეთი სულელი ვარ, რომ უდანაშაულო ბავშს საცემრად ვერ გავიმზრებ. მაგრამ ასწია თუ არა ქმარმა კეტი, ცოლი ხელში ეცა და ვეღრება დაუწყო:

— არ დაჰკრა, არ დაჰკრა!

— მაშ შენ არ გინდა საკუთარი შვილი დაიბრუნო? — უთხრა ქმარმა. და შეეცადა ხელები გაეთავისუფლებინა.

— როგორ არ მინდა, მაგრამ ამ საშუალებით კი არა, მიუგო ცოლმა.

— ქმარმა კიდევ მოულერა კეტი, მაგრამ ქალი ბავშს გადაეფარა დე კეტი ზურგზე მოხვდა.

— ღმერთო, დაგვიფარე, — წამოიძახა ქმარმა, — შენ უთუოდ ის გინდა, რომ ჩვენი ბავში სამუდამოდ კუდიანთან დარჩეს? — გაჩუმებული ელოდა, რომ ცოლი ჩამოშორებოდა, მაგრამ ის კვლავ იფარავდა ბავშს თავისი სხეულით. გააღმებულმა კეტი გადისროლა და ოთახიდან გავრდა. თვითონაც არ ესმოდა, თუ რატომ არ აასრულა თავისი განზრახვა, ცოლის სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ რაღაცა აკავებდა მას: არ შეეძლო მისი წინააღმდეგიბა.

ორმა წელმა განვლო.

ერთხელ საღილს უკან, ქალი იჯდა და ბავშს კაბას უკერებდა.



— ადვილი არ ყოფილა სხვისი შვილის მოვლა! — ფიქ-
რობდა და ქალი აკერებდა და აკერებდა, მაგრამ მრავალი საკერე-
ბელი დარჩენოდა დასაღები. რომ დაინახა, რამდენი სამუ-
შაო ჰქონდა კიდევ დარჩენილი, ატირდა.

— ვიცი, — ფიქრობდა ის, — საუკეთესო შვილის ტანსა-
ცმელს რომ ვაკერებდე, საკერებელს არ დავთვლიდი
მემშიმება უცხო შვილის აღზრდა. უმჯობესია ტყეში
წავიყვანო და იქ ისევ გადავკარგო, რომ შინისკენ გზაც
ვეღარ იპოვნოს. სრულებითაც არ არის ძნელი მისი თავიდან
მოშორება, — ეუბნებოდა თავის თავს ქალი, — საქართვისია ერთ
წუთსუთვალყუროთ დავტოვო, რომ ჭაში ჩაიხრჩის, ან ღუმე-
ლში დაიწვას, ან ძაღლებმა შესჭამონ, ან ცხენებმა ჩასწიხლონ.
ან არა და მოჯამაგირებებმა ცემით მოჰკლან. რასაკირველია,
მისი მოშორება აღვილია. ძალიან ავია, მიუკარებელი და ყვე-
ლასა სძულს. სულ ჩემთან რომ არ მყავდეს, დიდი ხანია,
ცოცხალი აღარ იქნებოდა.

ქალი ადგა და ბავშს გადახედა, რომელსაც კუნკულში
ეძინა. ამ ხნის განმავლობაში ის ქარგად წამოიზარდა და
უფრო გონჯი გახდა, ვიდრე წინეთ იგი მურივით შა-
ვი იყო, სქელი ტუჩები ჩამოშვერილი ჰქონდა — და წარბები
ჯაგარივით წამოვჭენილი.

უცბად კარმა დაიჭრიალა. ქალი თავისი საკერავით სა-
ჩქაროდ მაგიდასთან მივიდა. ოთახში მისი ქმარი შემოვიდა
და ალერსიანად შეხედა ცოლს, რასაც უკანასკნელი დიდი
ხანია გადაჩეული იყო.

— მეზობელ სოფელში დღეს ბაზრობაა. მოდი, წავიდეთ
ჩვენც, — უთხრა ცოლს.

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა გახარებულმა ცოლმა.

— მაშ ჩქარა მოემზადე, ფეხით უნდა წავიდეთ, რადგა-
ნაც ცხენებს არა სცალიათ. თუ მოკლე გზით მთაზე გადა-
ვივლით, მაინც დროზე მივალთ.

რამდენსამე წაშს შემდეგ სადღესასწაულოდ მორთული
ქალი დერეფანში იდგა. უკვე რამდენიმე წელი გავიდა მას
შემდეგ, რაც მას ასეთი სასიხარულო არაფერი ენახა, ამ
სიხარულმა კუდიანის შვილიც კი დაავიწყა.

მაგრამ უცბად თავში გაუელვა:— ვაი თუ ჩემს ქმარს განზრას უნდა ჩემი სახლიდან გატყუება, რომ მოჯამა- გირებს მოაკვლევინოს ბავში— ქალი ოთახში შებრუნდა და ბავში გამოიყვანა.

— ნუ თუ არ შეგიძლია ეგ უმზგავსი შინ დასტოვო?— ჰქითხა ქმარმა იმავე ალექსიანი ღიმილით.

— ვერ ვბედავ,— მიუგო ქალმა.

— შენ იცი! მხოლოდ ძალიან კი გაგიჭირდება აღმარ- თში მაგის ზიდვა.

ცოლ-ქმარი გაემგზავრა. გზა მეზობელ სოფელში დიდი აღმართით მიღიოდა და ქალი მალე ისე დაიღალა, რომ ფე- ხებს ძლიერ მიათრევდა. მან რამდენჯერმე ჩამოსვა ბავში მი- წაზე, რომ თავისი ფეხით ეარა, მაგრამ ბავში ურჩობდა, არ სურდა სიარული. ქმარი, სამაგიეროდ ასე მხიარული და ალექსიანი ცოლს არ ენახა მას შემდეგ, რაც მათ საკუთა- რი შვილი დაპარგეს.

— მოიტა, მომეცი ბავში, მეწამოვაყვან ცოტა ხანს,— უთხრა მან ცოლს.

— არა, არა მიშავს,— უპასუხა ცოლმა.— არ მინდა შე- გაწუხო სხევისი შვილისთვის.

— რატომ უნდა ზიდო მარტო შენ?— უთხრა ქმარმა და ბიჭი ხელში აიყვანა.

სწორედ იმ ალაგას, სადაც ქმარმა ბავში გამოართვა, იწყებოდა ძალიან ცუდი გზა. უფსკრულის პირს მიიკლაკნე- ბოდა ვიწრო ბილიკი და ალაგ-ალაგ ფეხის დასამაგრებელი ალაგიც არ იყო.

ცოლი უკან მისდევდა. უცბად შეეშინა, რომ ქმარს არაფერი მოსვლოდა, სანამ ბავში მიჰყავდა.

— ფრთხილად აქ! დაუყვირა ქალმა, რადგანაც მოეჩვენა რომ ის ძალიან ჩქარობდა და შესაძლო იყო წაქცეულიყო. მართლაც მან ამ დროს ფეხი წაიკრა და ბავში კინალამ უფ- სკრულში ჩააგდო.

„ბავში რომ ჩაგრძნილიყო ჩვენ სამუდამოდ გავთავი- სუფლდებოდით მისგან,“ გაითქმა ქალმა და უცბად, ნა- თლად დაინახა, რომ ქმარმა ის განზრას მოიყვანა აქ, რომ



ბავში უფსკრულში გადაეჩეხა, და მერე ეს უბრალო შემთხვევით აეხსნა.

— ოჰ! ეს ნამდვილად ასეა! — ფიქრობდა ქალი. უნდოდა თავიდან მოეცილებინა ბავში ისე, რომ მე ეჭვი არ შემპაროდა მის ბოროტ განზრახვაზე. შეიძლება უმჯობესიც იყოს, რომ მას ხელი არ შეუშალო.

ქმარმა კიდევ ფეხი წამოჭკრა ქვას და ბავში კინადამ ხელიდან გაუსხლტდა.

— მომეცი ბავში. წაიქცევი! — წამოიძახა ცოლმა.

— ნუ გეშინია, ფთხილად ვიქნები.

— მომეცი აქ, — განუმეორა ცოლმა. — შენ უკვე ორჯერ წაბორძიკდი.

იმ წუთში ქმარი მესამედ წაბორძირდა, მან ხელი გაიშვირა რომ მახლობელ ხეს მოსტიდებოდა და ბავში ხელიდან გაუვარდა. ცოლი უცებ მივარდა. თუმცა ცოტა აღრე ფიქრობდა, მის თავიდან მოშორებას, მაგრამ მიუხედავად ამისა უცებ მივარდა უფსკრულის პირს, კალთაში ხელი სტაცა და ბილიკზე არიათრია. ქმარი მიუბრუნ და ბრაზმორეული.

— ნეტავი საიდან იყრეფ მაგ სიმარჯვეს! რა უყავი ეგ სიმარჯვე, როდესაც ტყეში საკუთარი შვილი დაჲკარგე, — მწარედ მიაძახა ცოლს.

ქალმა არაფერი უპასუხა. ის გზის პირას იჯდა და მწარედ ტიროდა.

როდესაც უკან დაბრუნდენ, გზა-გზა ქმარი ფიქრობდა, თუ როგორ მოჰქცეოდა ცოლს. ძალად რომ დაიმორჩილოს ის, შესაძლებელია ყველაფერი ძველებურად მოეწყოს. ასე ყოფნა კი შეუძლებელია უსათუოდ უნდა გაშორდეს მას.

უნდოდა ბავში წაერთმია, მაგრამ ცოლის ნაღვლიანი თვალები რომ დაანახა, ვეღარ შესძლო მისი სასტიკად მოჰყრობოდა. მის მწუხარებას პატივისცა, თავს ძალა დაატანა, როგორც წინად და ყველაფერი ძველებურად დარჩა.

კიდევ ამდენსამე წელმა განვლო. ერთ ღამეს გლეხის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. როცა ხალხმა გამოილვიდა, ოთახები კვამლით სავსე იყო და ჭერი ალში იყო გახვეული. ნივთების გადარჩენაზე ფიქრიც მეტი იყო, საჭირო იყო თავის გა-

დარჩენაზე ეზრუნათ და ცოცხლები სახლიდან გამოსულიყვნენ.
სახლის პატრონი ეზოში იღვა და ცეცხლმოკიდებულ
სახლს უცქეროდა.

— ნეტავი ერთი ვიცოდე, ვინ ჰქნა ეს! — წითოიძახა მან.

— სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არ კუდიანის შვილი, — მიუგო ერთმა მოჯამაგირებ. ჭიაკოკონის ანთება მისი საყვარელი გასართობია. — გუშინ ჭერს ზემოდ ჩალის დიდი გროვა უამზადა, — ჩაერია მოახლე ჭალი. — ანთება უნდოდა, მაგრამ მე არ დავანებე.

— გვიან სალამოს, ალბად, მაინც დაანთო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ცეცხლი მისი გაჩენილია, — განავრდო მოჯამაგირებ.

— თვითონ რომ მაინც დამწვარიყო, მე ალარ დამენანებოდა ჩემი ძველი სახლი...

ეს სიტყვები ჯერ არ დაემთავრებია, რომ წინ კარში გამოჩენდა მისი ცოლი, რომელიც ბავშვს მოათრევდა. ქმარი მივარდა მის, გამოპერიაზა ბიჭი, მაღლა ასწია და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა უკან ცეცხლმოკიდებულ ანთებულ სახლში შეაგდო. კარებსა და ფანჯრებს ცეცხლი უკვე მოსდებოდა და შიგ აუტანელი სიცხე იყო. შიშისაგან გაფითრებულმა ცოლმა ერთი კი შეხედა ქმარს, შეძლებ მიბრუნდა და ბავშვის გამოსაყვანად ცეცხლში შევარდა.

— ჰო, და ჩაწევი მაგასთან! რა მენალვლება, — მიაძახა უკან ქმარმა.

ქალი, მკერდზე მიკრულ ბავშით, უკან დაბრუნდა. თმა მთლიად შეტრუსოდა და ხელებიც ძალიან დასწვოდა. არავის ხმა არ გაუცია, როდესაც ის დამწვარი სახლიდან გამოვიდა. მივიდა ჭასთან, თავისი ანთებული კაბა წყლით ჩააქრო და მიწაზე დაჯდა. კულიანის შვილი მუხლებზე უწვადა და მაგრა ეძინა. თვითონ კი სევდიანი შორს გაიყურებოდა. ხანძარის ჩასაქრობად დიდხალი ხალხი მოგროვდა, მაგრამ დიდასახლისს კი არავინ ელობარაკებოდა. ყველას ეგონა, რომ მას ბოროტ სულთან ჰქონდა საქეებ, რის გამოც ხალხს მისი ეშინოდა და ერიდებოდა გას.

განთიადისას, როდესაც ცეცხლი უკვე ჩამქრალი იყო, ქმარი მივიდა მასთან.

— მე არ შემძიდლია ბოროტ სულთან საქმე ვიქონიო და ამიტომ ვერ დავრჩები აქ თუმცა შენი ღატოვება ძალიან მემძიმება, წავალ გადავარდები საღმე და შინ აღარ დავბრუნდები.

როცა ეს სიტყვები გაიგონა, და დაინახა, რომ ქმარი მართლა შეორდებოდა მას, ქალი აკან კალდა და დაპირა უკან დადევნება, მაგრამ მძიმე ბავში კალთაში უწვა და გრძნობდა, რომ მის გადოსაგდებად მას ძალა არ შესწევდა და გაშეშებული თავის ალაგას დარჩა.

ქმარი ტყის პირამდი მივიდა და ბილიკით აღმართს შეუდგა. უცებ ხშირი ტყიდან პატარა ბიჭუნა გამოვარდა. ის შევენიერი იყო, როგორც ახალგაზრდა ხე. თმა აბრეშუმივით უბრწყინავდა და თვალები ლურჯი ფოლადივით უელავდენ.

— ამისთანა იქნებოდა ახლა ჩემი შეილი, რომ არ დამკარგოდა, — გაითიქრა კაცმა. — აი, ამისთანა მემკვიდრე მინდოდა მე! არა ჰერგი იმ შავ უმსგავს მაჯლაჯუნას, რომელიც ჩემმა ცოლმა სახლში მომგვარა. — გამარჯობა, საით მიღინარ? — ჰერგითხა კაცმა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა ვაუმა და ხელი გაუწოდა. — თუ შენ გამოიცნობ, ვინცა ვარ, მეც გეტყვით, თუ სადაც მივდივარო. კაცმა რომ მისი ხმა გაიგონა, გაფითრდა და წამიდიხა:

— ამ, ხმას მე ვიცნობ! ჩემი შეილი რომ კუდიანთან არ იყოს, მე ვიტყოდი, რომ ეს ის არის.

— თქვენ მიხვდით, მამაჩემო, — სთქვა ვაუმა და გაიცინა. — და რადგანაც თქვენ მიხვდით, მეც გეტყვით, რომ დედაჩემთან მივდივარ.

— რა გინდა დედა შენთან, — უპასუხმა კაცმა, — ის შენზე სრულიადაც არ ფიქრობს. იგი მხოლოდ ბოროტ კუჭაანის შეიღლზე ზრუნავს.

— თუ ეს ესეა, მამაჩემო, მაშ მე შენთან დავრჩები, — მამაჩემო უთხრა ვაუმა და თვალი თვალში გაუყარა.

კაცი ისე გაახარა შეილის ნახეამ, რომ თვალებზე ცრემლიც მოერია.

— ჰა! დარჩი ჩემთან, — უთხრა მან ბავში, ხელში აიყვანა და მაგრად გადაკოცნა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს ბილიკზე. ბავშვა ტიტინი დაიწყო.

— კარგია, რომ ისე ხელით არ მიგყავარ, როგორც კუდიანის შეილი მიგყავდით,

— რა გინდა სთქვა ამით? — ჰკითხა მამამ.

— იცი, როდესაც ოქვენ ხრამის ერთ ნაპირზე მიდიოთ, მე კუდიანს მის შეორე ნაპირზე მივყავდი და, როდესაც შენ წაიბორჩიკებდი ხოლმე, კუდიანიც შენსავით ბორძიკობდა.

— მაშ ეგრე! მაშ ხრამის შეორე მხარეზე ოქვენ მიდიოთ? — სთქვა კაცმა და ჩაფიქრდა.

— თავის დღეში ისე არ შემშინებია, როგორც მაშინ, როდესაც შენ კუდიანის შეილი ხრამში ჩააგდე. კუდიანს უნდოდა მეც თანჩ ავეყოლებინე. კიდევ კარგი, რომ დედაჩემ მა ისე მარჯვედ დარჩირა მისი შეილი...

მამა აღმართს ნელ-ნელა შეჭყვა და გზა-გზა შეილს კითხვებს აძლევდა.

— მითხარი, როგორ ცხოვრობდი კუდიან თან?

— ზოგჯერ ძალიან ცუდად, — მიუგო ბავშვა, — მაგრამ, რაღანაც დედაჩემი კარგად უვლიდა კუდიანის შეილს, ისიც მე კარგად მეცყრობოდა.

— არა გცემდა? — ჰკითხა მამამ.

— როგორ არა, მცემდა ყოველთვის, როდესაც შენ შეილს სცემდი.

— რატომ არის, რომ რაღაცა დამწვრის ხუნი გიდის და თმებიც შეტრუსული გაქვს?

— გასაოცარი აქ არაფერია, წუხელის მეცეცხლში შემაგდეს, როდესაც შენ კუდიანის შეილი ცეცხლმოდებულ სახლში შეაგდე. დედაჩემს რომ ის არ გადაერჩინა, მეც უთუ-ოდ დავიწვოდი.

კაცმა ფეხს მოუჩქარა, კი არ მიდიოდა, მირბოდა შინისკენ ცოლთან. უცებ შედგა და ჰკითხა:

— მითხარი, როგორ მოხდა, რომ კუდიანმა შენ გაგა-თავისსუფლა?

— როდესაც დედაჩემმა სხვერპლად მიუტანა მის შეილს,

რაც მისთვის სიცოცხლეზედაც უძვირფასესი იყო, მაშინ კუ-
დიანმა დაჲკარგა ყოველგვარი ძალა-უფლება ჩემზედ.

— სხვერპლად მიუტანა, რაც სიცოცხლეზე უძვირფა-
სესი იყო მისთვის? — ჰკითხა მამაშ.

— რასაკვირველია, როცა შენ მას თავი დაანებე,
და ის არც კი შეეცადა შენს დაკავებას. — უპასუხა ბავშვა.

ცოლი იმავე ადგილს იჯდა ჭახთან. არ ეძინა, მაგრამ
გაქვავებულივით იყო. განძრევა არ შეეძლო, არაფერი ესმოდა
რაც მის გარშემო ხდებოდა. უცებ მას მოესმა, ქმრის ძახი-
ლი. ამ ხმამ მას გული აუძგერა და სიცოცხლე დაუბრუნა.
თვალები გაახილა და გაიხედა. სრულიად გაორენებული
იყო, მზე კაშკაშებდა, ფრინვლები ჭიკჭიკობდენ და მას ვერ
წარმოედგინა, თუ ამისთანა შვენიერ დღეს ის ისევ უბედური
იქნებოდა. უწინდელი სახლის ალაგას მან დაინახა ნა-
მწვავ ხეების გრძელა და ხელპირ გამურული აღამიანთა ჯგუფი
მოაგონდა, რომ მას უწინდელზე ბევრად დიდი უბედურება
ეწია, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ამას ბოლო უნდა
მოჰქონდოდა. უცებ მას კუდიანის შვილი მოაგონდა. მაგრამ
ის არ აღმოჩნდა არც მის კალთაშიარც სხვაგან საღმე ახლო-
მახლო.

სხვა დროს ადგებოდა და ძებნას დაუწყებდა, მაგრამ ახლა
სრულებით არა სწუხდა მისთვის. შორიდან ქმრის ხმა ესმოდა, ის
ტყიდან მოდიოდა. უცხო აღამიანები, რომელნიც ცეცხლის
ჩაქრობას შველოდენ, მიეგებენ მას და გარს შემორტყენ
ისე, რომ ცოლი მას ვერ ხედავდა, მარტო მისი ძახილი ეს-
მოდა:

— დედა, დედა! მოდი, ნახე! მოდი, ნახე!

მის ხმაში დიდი სიხარული იხატებოდა, მაგრამ ცოლი
იჯდა და არ ინძრეოდა. ვერ ბედავდა მასთან მისელის.

ბოლოს მთელი ჯგუფი მისკენ გამოემართა, ქმარი მას
გამოეყო და დედას შვენიერი ბიჭუნა მიჰვარა.

— აი, ჩვენი შვილი დაბრუნდა, — უთხრა ქმარმა, — და
მარტო შენ, შენმა კეთილმა გულმა დაგვიბრუნა ეს უკან.

6. გელოვანი.



ს ა ფ ე ი ქ რ თ შ ი.




ჭურთა სმენა აღარ არის,
მანქანების გრიალია;
ფერხულია შრომის ჯარის,
საქმიანი ტრიალია!

ვისაც გული მძიმედა აქვს,
ვისც ჯავრი ჰსურს გაიქარვოს,—
მთაშუროს შრომის ფერხულის,
მთაშუროს საფეიქროს!

გ. ქუჩიშვილი





ଇଲାଜ ନାମଶିଖ.

(ଜୀବନଧାରା 1866 ଫେବୃଆରୀ 1923 ଫେବୃଆରୀ)



მ

ილია ნაკაშიძის სურათზე.

ორი წარსული, მირაუები და მოგონება...
ასე ამძიმებს ჩემს სულს, როცა გიცქერ, ძვირფასო!
გარინდებული საუკუნე და დაღონება...
ოჲ, მინდა გული სიყვარულის ცეცხლით აღვადსო, —
რომ გარდავიქმნე თაზისად ნაზ სათნოების
და არ შევიქმნე სხვერპლი მსუბუქ ამაოების.

მიმჯრალი,



ბავშვთა მეგობარი.

(ი. ნაკაშიძის ხსოვნას)

ს წერილი ცოტა დაგვიანებულია, მაგრამ ათი წლის
შემდეგაც რომ დაიწეროს მასზე მოგონება, დაგ-
ვიანებულად მაინც არ ჩაითვლება. ბავშებო, დიდე-
ბში ოქვენ მეტად ცოტა მეგობარი გყავთ და სწო-
რედ ასეთ ცოტათაგან სხუკეთესო მეგობრის მოგო-
ნება მინდა დღეს. ეს არის ილიკო ნაკაშიძე.

მახსოვს, პატარა ცემში ვიყავი (ბავშვთა დასასვენებელი
ადგილია ბორჯომის ხეობაში) და იქ ბავშებს პირველ მეგობ-
რობას სწორედ, ეს ილია ნაკაშიძე უწევდა.

ვერ ჩამოვთვლი ყველა სიმშენიერეს ამ მეგობრობისას,
ვერ ჩამოვთვლი, რადგან დაუთვლელია. მე მაშინ ბავში ვი-

ყავი და მის პედაგოგიურ ბუმბერაზობას ვერ ვამჩნევდი, მას არ ვაფასებდი, არც თუ მაინც და მაინც მექრძალვოდა მისი— მხოლოდ მიყვარდა ბავშური სიყვარულით, როგორც პეტრიკ, მეორე ჩემი ამხანაგი. პეტიკომაც და ბიძა ილიკომაც ორივემ კარგად იცოდა ორთქმავლის ყვირილის მიბაძვა, მაგრამ ამაში მე ორშვე ვჯობდი; ბაყაყის ყიყინის გამოჯავრებაში კი ძია ილიკოს ვერვინ შეედრებოდა. ყოველთვის საუზმის შემდეგ ჯგუფად სასადილოდან გამოსული ბავშები შემოვცხვერდით ბიძა ილიკოს და ყოველი ჩვენგანი აუცილებელ მოვალეობად სთვლიდა მისულიყო, ტანისამოსის კალთებზე ჩამოჰკიდებოდა და ეთქვა: „ახლა მე მაჩვენე, მე, მე,“ ყოველი მხრიდან ვყვიროდით. მოთმინება არა ღროს არ ეკარგებოდა ამოდენ მოუთმენარ-მოუსვენრებში. რიგრიგად ყველას მოჰკიდებდა ხელს, თავის გაბერილ ლოყას თავზე დაბჯენდა და პაწია მეგობრებს ბაყაყის მიმბაძველ ყიყინით გააცინებდა. ყველანი პბაძავდენ ბიძა ილიკოს, ასე რომ ექ. ღამბაშიძის სანატორიუმი პერიოდულად გაყრუებული იყო ყიყინით. სხვა ღროს სხვა რასმე მოიგონებდა და ახლა იმაზე იყვნენ გადარეული ბავშები. ყოველ ჩვენგანს ეკონა, რომ ბიძა ილიკოს ყველაზე მეტად ის უყვარდა. რა გრძნობიერად გვეპრობოდა! რა ამხანავურად!.. ერთხელ ერთი ამხანაგის საქციელზე მეტად აღელვებული ვიყავით, რადგან ნიკოს ფანქარი მოჰპარა.

წესისამებრ ორი საათით ოთახში დამწყვდიეს, ერთი ღიდი კოფზი სასაქმებელი ზეთი მიაღებინეს სასჯელად, მაგრამ ჩვენ მაინც ეს არ გვაკმაყოფილებდა. ნიკომ გადასწყვიტა ქურდის ცემა და ეს დიდ რაინდულ საქმედ მიაჩნდა. წერილების წერაც დაუწყო: „გამოდი, ვნახოთ, როგორ გვიმოო“. ნიკოს აღშფოთების ღროს სრულიად ავიწყდებოდა, რომ ჩვენი ქურდი ამხანაგი მასზე ლონიერი იყო. ბიძა ილიკომ ეს რომ გაიკო, თავის ჩვეულებისამებრ, დაუმუქრებლივ და დაუტუქსავად, რწმუნება დაუწყო ნიკოს, რომ ცუდია საერთოდ ჩხუბი და მერე წინაღვე მოფიქრებული ჩხუბი. მაირამ გაჭირვეულებული ნიკო მაინც არა ცხრებოდა და თავსე გდებდა.

ილიამ ჭირვეულს თავი დაანება, მაგრამ პირობა დაუდო, რომ ორი კოვზი სასაქმებელი უნდა დაელია, სანამ მის საცემრად წავიდოდა და, თუ პირიქით, ის სცემდა, არ უნდა ეტირა. საქმე იქმდე მივიდა, რომ ხელწერილი დაიწერა და ნიკომ ხელი მოაწერა ასეთ პირობაზე. ...მაგრამ, რასაკვირველია, ეს ჩეუბი არ მომხდარა...

ერთი მეტად ცუდად აღზრდილი ბავში გვყავდა. როდესაც დაძინების დროს საერთო ოთხში უფროსს ვერ შეხედავდა, საძაგელი ხემრობა იცოდა: ან ვისმე გადმოათრევდა ლოგინიდან, ან კიდევ ბალიშებით ომს გამართავდა. ასეთ ომის დროს ერთხელ ბალიში ნაგთის ლამპარს მოხვდა და ლამპარი ჩაქრა... მხოლოდ ჩაქრა. საბეჭნიეროდ უბედურება არაფერი მოჰყოლია. ამ გარემოებასაც არ აუღელვებია ძია ილიკო, შემოვიდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, აანთო ლამპარი, უსიტყვოდ ამოიღო სალამური (ფლეიტა) და დაიწყო დაკრა. აღარ მახსოვეს, რამდენ ხანს შემდეგ ჩამეძინა, ეს კი მახსოვეს, სიტყვა არ უთქვამს ონავარის ეშმაკობაზე, თუმცა ეს მან ფანჯრიდან დაინახა. ასეთი ამბავი შრავალი იყო. მისი ანდერსენის ზღაპრების მოყოლა ახლაც ყურში მესმის. ბიძია ილიკოს დაულეველი ამბები და მოთხრობები ჰქონდა შემონახული ბავშთათვის...

ჩვენ ჩვენზე დიდი არ გვეგონა ბიძია ილიკო იმ დროს. გზიდა ხანი.

კიდევ შემხვდა... მე უკვე მე-6 კლასის მოწაფე ვიყავი, თავს დიდხნიანად ვთვლიდი და პატია მოთხრობებსაც ვთჩზავდი. ერთი ასეთი მოთხრობის მიტანის დროს რედაქციაში ბიძია ილიკო დამხვდა. მე ძველებური მოწიწებით და სიყვარულით მიკეგებე. მან თავიდანვე ხელად მონახა ჩემი გონების დონე და სიბავშის მეგობარი სიყრმის მეგობარიც გამოდგა. მაშინვე მუსიკა, მაშინვე ლიტერატურული ბაასი, მისი დავჭ, ჩემი დაგულისხმიერება რაიმე საკითხის გარშემო... აი, რას უკლიდით გარს ამ შეხვედრის დროს.

...მესამეჯერ კიდევ მაშინ შემხვდა, როდესაც გიმნაზია კარგა ხნის გათავებული მქონდა და, რასაკვირველია, ასეთს

დროს კაცი თამაშობა აღარ ახსოვს, ცხოვრების შესწავლის შეუფეხბა ხოლმე. ალექსანდრეს ბაღში გავიარე. ფრონტი-დან დაბრუნებულ ჯარში კომუნისტურ მოძრაობას მოვკიდებია ფეხი. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა იყო გამოცხადებული. ოურქებზე და გერმანელებზე შეტევის შესახებ კერძნსკის ბრძანებას ყურს არავინ უგდებდა. ამ დროს ბიძია ილიკო ვნახე ჯარის კაცებში მოქადაგე. უკითხავდა ისევე აულელვებლივ, როგორც ჩვენ ბავშობისას, და რას? რასა და ომის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ, ფრონტის დატოვებასა და შინ დაბრუნების შესახებ. „გვიყო ომი, გვეყო სისხლი! ჩქარა შინ, ოჯახში, რა არის უკეთესი თქვენი უპატრონოდ მიტოვებულ ბავშებისაო!“ ჯარისკაცები ისევე შეჭყურებდენ მას, როგორც ჩვენ ყიყინის დროს. ისინიც ყველანი ისე ერთად ელაპარაკებოდენ, როგორც ჩვენ. მე დამინახა და, როდესაც შემამჩნია, მივედი, ხელი ჩამომართვა. მინდოდა კალთაზე ჩამოვკიდებოდი და მეთხოვა ერთხელ მაინც მიებაძი ბაყაყის ყიყინისათვის, მაგრამ მივხვდი მისი ჩემდამი დამოკიდებულება, რომ მე უკვე დიდი ვიყავი.

და მაინც გარეთ, მჩეზე თამაშმა იმსხვერპლა ეს უდიდესი მეგობარი ყოველ ასაკის აღამიანთა.

ვისწავლოთ მისგან მასწავლებლობა, გავხდეთ ბავშები ბავშებთან, ძირს სასჯელი და სხვანაირი ზომები! ჩაგონება—ზეგავლენით მეტს მივალშევთ. ამის მაგალითი ზევით ვნახეთ. მშვიდობით, ბავშთა მეგობარო ბიძია ილიკო.

გ. მერკვილაძე.



ქართველი ხალხის ისტორია

(უძველესი დრო).

1. ქართველი ხალხის უძველესი ბინა, ტომები და კულტურა.

4—5 ათასი წლის წინათ ქრ. დ. ქართველთა ტომები ცხოვრობდნენ დასავლეთ აზიაში, უმთავრესად შუამდინარეში (მესოპოტამიაში), და მცირე აზიაში, სირიასა და ეგვიპტის მახლობლად. აღმოსავლეთით ან უ მესოპოტამიაში ცხოვრობდნენ ქართველთა მოდგმის ორი დიდი შტო: ქარდე და სემერი, დასავლეთით კი ხეოები.

ჩვენ არ ვიცით როგორ და რა გზით განათლდნენ ქართველთა ძველი წინაპრები. მეცნიერთა გამოკვლევამ აშეარად ლაამტკიცა, რომ ეს ტომები ყოფილან მაღალი კულტურის ხალხი და დიდი გავლენა ჰქონებით თვითი მეზობლებზე, განსაკუთრებით აშურ-ბაბილონელებზე და ფინიკიულებზე, შემდეგ კი მიდია-სპარსეთზე და ძველს ელინებზე (ბერძნებზე).

ძველი, დიდად განათლებული ქარდე და სემერი, ანუ ხალდუელები ანუ ქარდუელები (ე. ი. ქართველები), იყვნენ სწორედ ის ჩვენი სახელგანთქმული წინაპრები, რომლებმაც გაანათლეს ცენტრალ აზიადან მოსული სემიტთა მოდგმა ასურები ანუ აშურები და ბაბილონელნი.

ქარდუელებმა თან დათანობით წარმოშვეს და განვითარეს მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა, შექმნეს ძლიერი სახელმწიფონი, დააძრსეს სოფლები და ციხე-ქალაქები, გაიყანეს სარწყავი არხები და გზატკეცილები, შემოიდეს ლურსმული მწერლობა, წარმოშვეს თავისებური სარწმუნოება, განსაკუთრებით კი ცის მნათობთა, ე. ი. მზე და მთვარის თაყვანისცემა, რომელთაც აუგეს დიდრონი ტაძრები და ქანდაკებანი (კეოპტები). იმათ წარმოშვეს იგრეთვე სხვადასხვა ხელოვნება, ე. ი. ხუროთ მოძღვრება, ქანდაკება, მუსიკა, მხატვრობა და პოეზია.

აქ არ შეჩერდენ სუმერ-კარდუელები; იმათ ჩაუყარეს სა-
ფუძველი მეცნიერებას და ფილოსოფიას, წარმოშვეს და ვა-
ნავითარეს უმთავრესად ექიმობა (მედიცინა), მათემატიკა,
გარსკვლავაგთმრიცხველობა (ასტრონომია) და მაგია. ამ უკა-
ნასკნელიდან წარმოსდგა სიტყვა მოგვი, მოგვები. ესენი
იყვნენ ერთსა და იმავე დროს სასულიერო პირნი და მეც-
ნიერ-ფილოსოფოსნი.

20—25 საუკუნეებში ქრ. წ. აშურ-ბაბილონელთა შე-
მოსევისა და ხანგრძლივ ომების გამო, ქარდუ-სუმერები იძუ-
ლებული გახდენ დაეხიათ ჩრდილოეთით და დაბინავებული-
ყვნენ მდ. ტიგრისა და ეფრატის ზემო აუზებში და ვანის
ტბების მიდამოებში, ნაწილი კიდევ გაღვიდა ამიერ-კავკა-
სიაში და დაიკავა მდ. არეზის ვრცელი აუზი არარატის მთამდე.

ამ ახალ ბინაზე გადმოსახლებულ ქართველი ხალხის წი-
ნაპრებს ეწოდათ: ურარტუ, ანუ ალაროდი, ნაირი, ბიანა,
კარდეხი და სხვ. ესენი დაიყვენ წვრილ სამეფო-სამთავროე-
ბად, საჭიროების დროს უკავშირდებოდენ ერთმანეთს და
დიდ წინააღმდეგობას უწევდენ აშურთა ხელმწიფების შემო-
სევის და მათ დაბყრობის წადილს.

**2. ხეთები, მათი კულტურა და ხანგრძლივი ბრძოლა
ეგვიპტელებთან.**

ხეთებმაც უხსოვარ ღროშივე შექმნეს სახელმწიფო ფო-
რმა და წარმოშვეს მაღალი კულტურა. მათ ჰქონდათ ვაჭ-
რული ურთიერთობა და მეტადრე ხანგრძლივი ომები ეგვიპ-
ტის დაც სახელმწიფოსთან, რომელიც იყო იმ დროს ყვე-
ლაზე უფრო ძლიერი და განათლებული ქვეყანა. დაახლოე-
ბით 2300 წლის წ. ქრ. დ—დე, დიდი ომების შემდეგ ხეთე-
ბმა დაიპყრეს მთელი ეგვიპტე და მის ფარაონთა (მეფეთა),
ტახტზე 500 წლის განმავლობაში აღიოჩა ხეთელი მეფის
ხეთასარის დინასტია (გვარი). 18-ტე საუკუნეში ეკვიპტე
განთავისუფლდა ხეთელთა (გიქსთა) ბატონობისაგან და იქ-
რა უებით წამოვიდა თვით ხეთის სახელმწიფოს წინაამდეგ.
მათი ქიშიობის საგანი იყო სიჩია, რომელიც ხან ერთის
ხელში გადადიოდა, ხან მეორისაში.

14-ტე საუკუნეში ხანგრძლივ ომებით დაპაშვრალი ეგვი-
პტის ფარაონი ხეტი I ზავით შეეკრა ხეთელ მეფეს ხეთასარს
და ნიშნად შერიცებისა შეირთო ცოლად მისი ქალი. მაკრამ

მისმა შვალმა, გენისმა ფარაონმა, რამზეს II-მ დარღვია ეს ზავი, შეკრიბა დიდი ლაშქარი და შეესია დასაპყრობად ხეთელთ სახელმწიფოს. მედგარი და საბედისწერო იყო ეს ბრძოლი. იძლიერ ხეთი. რამზესი შეესია ჯარებით და ააოხრა მათი ქვეყნები; გაელიტა მრავალი ხალხი და ბევრიც წაიყვანა ტყვედ. ეგვიპტელთა რამდენჯერმე შემოსევამ და მედგარმა ომებმა დაამსხვრია ხეთელთა ძლიერი სახელმწიფო, ააოხრა და გაანადგურა ერთიანად მათი სოფლები და ციხე-ქალაქები. ხეთები იძულებული გახდენ დაეტოვებიათ თავისი მიწა-მამული, დაეხიათ დასავლეთით და ჩრდილოეთით, შეფარებოდენ ზავი ზღვის ნაპირებს და მეტადრე ამიერ-კავკასიას, რათა აქ მოგპოვებიათ ახალი სამშობლო, შეექმნათ ახალი სახელმწიფო ფორმები და ახალი კულტურა.


ხეთების უძველესი კულტურა შესანიშნავია მით, რომ მათ პირველად მოიგონეს გეოგრაფიული რუქების ხატვა (კურბეისი) და აგრეთვე შექმნეს თავისებური იეროგლიფები (რებუსისებური მწერლობა). ამასთან დიდად განავითარეს ხუროთმოძღვრება და ქანდაკება, რაშიაც ბაძვლენ მათ აშურები და შემდევ ელინები (ბერენები). მაგრამ ყველაზე უფრო სამნიშვნელო შეიქნა მთელი კაცობრიობის წინსვლისათვის ხეთელთა ორი ტოტის, ტუბალ-მოსოხის მიერ პირველად მოგონილი მეტალურგია, ე. ი. ლითონთა დაღნობა და დამუშავება და იმათვან სხვადასხვა იარაღებისა და სამკაულების გაკეთება.

მთა-გორიან ქვეყნებში და მაღნებით მდიდარ აღვილებაში მცხოვრები ტუბალები და მოსოხები უხსოვარი დროიანვე მოექცენ ყურადღებით ჯერ სპილენძისა და თუთიის და შემდევ რეინის მაღნებს. შეუდევნ მათ მიწის გულიდან ამოღებას და დამუშავებას. როგორც უფრო რბილ მაღნებს, ჯერ ხელი მიჰყვეს სპილენძსა და თუთიას, მათ დარინბას ცეცხლით, ანუ უკეთ ნახშირის სიხურვალით მათ შედუღებას, აქედან ზრინჯაოს იარაღებისა და სამკაულების დამზადებას, მათ გასაღებას და გავრცელებას მეზობელ ქვეყნებში. რამდენიმე საუკუნის შემდევ კი ტუბალ — მოსოხები იმდენად დახელოვნდენ შეტალურგიაში, რომ ხელი მიჰყვეს უფრო მა-

გარ ლითონის, ე. ი. რკინის დამუშავებას, მის დაღნობა-დარბილებას, მისგან ფოლადის (რვალის) დამზადებას და ამ რიგად უფრო მაგარი, მტკიცე და ბასრი იარაღების შექმნას. ყოველსავე ამას კი უუდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი კაცობრიობის კულტურისა და წინსვლისათვის.

სწორედ ამიტომ იხსენიებს ოღრაცებით ძველ ქართველებს ცნობილი მეცნიერი რიტოერი და ამბობს: „თუმც, მართალია, ძველს ელლადას დიდი ღვაწლი მიუძღვის ევროპის განვითარებაში, მაგრამ ნუ გვავიწყდება, რომ აღმოსავლეთით არსებობს ხალხი, რომელსაც კიდევ უფრო მეტი ღვაწლი მიუძღვის მთელი კაცობრიობის წინაშე და ეს შესანიშნავი ხალხია ქართველებით“.

სიმონ ქვარიანი.





ფუტკრის ცხოვრება.

(წერილები ქალაქელ შვილიშვილებს.)
ქეთო-ნიცა და ბიბი-გოგი!



არშან ზაფხულში რომ სოფელში იყავით,
როგორც მახსოვს, ძალიან მოგეწონათ
ყველაფერი, განსაკუთრებით ფუტკარი და
მისი ცხოვრება, რაზედაც მე მაშინ მო-
კლედ გიამბეთ. გახსოვთ, პატარა ბიბი
რომ მოუჯდებოდა სკას და თვალს არ
აშორებდა ფუტკრების მოძრაობას? თქვენ
გეშინოდათ მაშინ, არ დაშამოს ფუტკა-

რმა ბავშიო და უკან ეწეოდით პერანგის კალთით. იგი არ
სცილდებოდა სკას, სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა,
ბოლოს ისე ახლოს მივიდა, რომ თითქმის სკის აივანს მია-
დო თავი, ფუტკრები კი მას არ უცხოობდენ, არა ჰებენდენ:
პირიქით, მინდვრიდან დაბრუნებული, თაფლით დატვირთული
მუშა ფუტკრები ხშირად მის ხელზედაც კი ისვენებდენ. ბიბი
ვერ ამჩნევდა ამას, ისე იყო გატაცებული ფუტკრების მოძ-
რაობით. ყველა განცვიფრებული იყო პატარა ბიბის გამბე-
დაობით და ფუტკრების სიმშვიდით. ძალიან შეგიყვარდათ
თქვენც ეს სკა: ხშირად მიიჩნდით მასთან და სათობით
რჩებოდით იქ, თვალყურს ადევნებდით ფუტკრების მუშაობას.
თქვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა რომელიმე
მუშა შეიტანდა ფეხებით სკაში ყვითელს ან თეთრ ჭეოს.
ხშირად კითხულობდით, როდის უნდა ვხილოთ, როდის გა-
მოვილებთ თაფლსო. აი, ეს თქვენი საყვარელი სკა თქვენი
წასვლის შემდეგ კინალამ არ დაიღუპა!.. მე მინდა გიამბოთ
რა მოხდა და, იმედია, ყურადღებით მომისმენთ.

გომბიოს ცერაგობა

თქვენი წასვლის შემდეგ თქვენს საყვარელ სკას დედალ-მამლი გომბიო შემოეჩინა და ფუტკარი გაანადგურა. ახალ-გაზრდა მუშა ფუტკარები, რომელნიც ჯერ სკას არც კი გა-სცნობოდენ, სკაში მხოლოდ ფუფულებს უვლიდენ, გამოვიდენ დიდ გროვად არემარის დასათვალიერებლად და სკის გარეგ-ნობის შესასწავლად, რომ შემდეგ, როცა თავლით დატვირ-თული მინდვრიდან დაბრუნდებოდენ, გზა არ დაბნეოდათ, პირდაპირ სკაში შესულიყვნენ. მე იქვე ახლოს ვიდექი, გუ-გუნი გავიგონე და სკას მივუახლოვდი. სკის ქვეშ რაღაც დავინახე, მაგრამ კარგად ვერ გავარჩიი, რადგან ფუტკარი სკას ნისლივით ეხვევოდა. რო დავაკვირდი—შევნიშნე უზარ-მაზარი გომბიო, რომელიც ღრრო გამოშვებით გამოისროდა ხოლმე პირიდან ორჯებ ენას, რომლის წვერს ეწეტებოდა ფუ-ტკარი და სწრაფად მუცელში ჰვავნიდა, ჰყლაპავდა. გო-მბიო მაშინვე ხელში ავიყვანე და ვაგსინჯე. ძალიან გაბერი-ლი იყო, ეტყობოდა, ბევრი ნორჩი ფუტკარი შეეჭამა. წა-ვიყვანე და მოშორებით ხრამში ჩავსვი. ხრამი . ძალიან ღრმა არის და, ვფიქრობდი, საფუტკარეში იღარ დაბრუნდება მეთქი. იმავე საღამოს სანთლით დავათვალიერე სკა, რომელსაც სრუ-ლიად მოუღლოდნელად საფრენთან გომბიო მიჯდომოდა და უთვალთვალებდა, მაგრამ ის კი არა, რომელიც ხრამში ჩავ-სვი, ეს უფრო პატარა ტანისა იყო და მუცელიც ნაკლებად ჰქონდა გაბერილი. ესეც დავიჭირე და იმავე ხრამში ჩავსვი, საღაც პირველი და ვფიქრობდი, რომ სკას ვერც ერთი ვე-ღარ დაუბრუნდებოდა, რაღან ხრამს, რომელშიაც იგინი ჩავსვი, სკიდან ორი მაღალი გალაგანი მიჯნავდა. მე გულდა-მშვიდებული ვიყავი, გომბიოების დაბრუნებას არ ველოდი.

ერთ საღამოს შემთხვევით სკასთან გავლა მომიხდა. ნამია-ნი საღამო იყო. დავათვალიერე სკა და რა ვნახე! ჩემ მიერ გაძევებული გომბიოები დაბრუნებულან, მისხდომიან სკას სა-ფრენთან და დაუზოგავად ჰყლაპავენ მოდარაჯე მუშა ფუტ-კარებს. ნამეტანი ავლელდი, თავი ვეღარ შევიკავე, გონება დაბნეულმა ორივე ავაზაკი ხელში ავიყვანე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, იქვე ყორეზე დავანარცხე.



გომბიოების დახოცვამ ძალიან შემაწუხა. ნინო ბებისაც ძალიან ეწყინა და მისაყველურა: გომბიო აღამიანის მოკეთეა, ის სპობს მავნე მწერებს და ამით ჭირნახულს იცავს განაღ- გურებისაგან. ამისთანა სასარგებლო ქვეწარმავალს ისე სას- ტიკად არ უნდა მოქცეოდიო. მართალია, მეტად სასტიკად მოვექეცი, მაგრამ ისიც მართალია, რომ ისე არ მოვქცეო- დი, ისინი მთელ სკას გაანადგურებდენ, თავის გაუმამდომ მუცლის ამოსაროხავად ათასობით ფუტკარს ჩაჰულაპავლენ, ფუტკარი კი აღამიანისათვის ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე გომბიო.

ფუტკარს გამოაქვს ყვავილების გულიდან ნექტარი (ტკბი- ლი სითხე), რომელიც უსარგებლოდ გაიდან ტებოდა ჰაერში, ფუტკარი რომ არ ყოფილიყო; ამ ნექტარისაგან აკეთებს ტკბილსა და გემრიელ თაფლს, რომლითაც ის იკვებება. ამ შეუდარებელ საჭმელს ის ადამიანსაც საკმაოდ უწილადებს. მასვე აძლევს თავის ნაკეთებ ცვილს, რომლისაგანაც ჩინე- ბული სანოელი კეთდება. ამ გვარად თავის გამოსაკვებად ფუტკარი არავის არაფერს ართმევს და არავითარ სულდგმულს არა ჰლუპავს.

მართალია, ფუტკარი ხშირად სასიკვდილოდ შხამევს რო- მელსამე სულდგმულს, მაგრამ თავის კუჭის გამოსაძლომად კი არა: ის ებრძების და ჰკლავს, ვინც მას ძალიად თავს ესხმის და ხელს უშლის სასარგებლო მუშაობაში. ასეთ შემთხვევაში ფუტკარი ისეთ ძლიერ ცხოველსაც სძლევს, როგორიც არის ცხენი. იყო ასეთი შემთხვევა: გაშვებული ცხენი შევიდა ბა- ლში, საღაც საფუტკრე ჰქონდათ. ფუტკარი დაეტაკა მას. ცხენი ცდილობდა ფუტკრები მოეგერებია: დაიწყო წისლე- ბის სროლა და რამდენიმე სკა წააქცია. მაშინ ფუტკრები ათასობით დაეხვინ მას და, სანამ მეფუტკრე მოეშველებო- და, ისე დაპინძეს, რომ ის მკვდარი დაეცა მიწაზე. ცხენის ლეში ორ დღეს დარჩა დაუმარხავი და იმდენად გაეღვინთილი გამოდგა ფუტკრის შხამით, რომ ვერც ძალი მიეკარა მას და ვერც ყვავ-ყორანი.

ფუტკარი თავის მტერს ჩუმად როდი ეპარება, პირდაპირ შეებრძოლება თავდამცემს. პრძოლაში წესებიც საოცარი აქვს:

“ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის”. თუ ვინმებ ერთი მათგანი დაჩაგრა—მთელი გროვა მიესევა და ან თავს შეაკლიავს, ან დასძლევს მტერს.

გომბიო კი ვერაგულად ეპარება მას, უფრო ხშირად სა-ლამოობით, ქურდულად ჩაუჯდება ბნელ კუნჭულში და სწრაფად ჰყლაპავს ისე, რომ ვერც მისი სხვერპლი ამჩნევს მას, ვერც სხვა ფუტკარი.

ამნაირად ეს კეთილშობილი გმირი მწერი, რომელიც ცხენსაც კი ერევა, ვერაფერს ახერხებს ამ მახინჯ მტერთან.

შართალია, გომბიო, საზოგადოდ, სასარგებლო ქვეწარმავალია, ბევრ მავნე ჭიალუასა სპობს, მაგრავ ამათთან ერთად ფუტკარსა და აბრეშუმის ჭიასაც ანადგურებს.

ფუტკრების ბაასი.

ივლისის ერთ საღამოს ცა სქელი ღრუბლებით იყო დაფარული. ნიავი არ იძროდა, დიდი ხნის გვალვის გამო ძლიერ ცხელოდა. სკიდან გამოსული ფუტკრების ნაწილი სკისავე კედელს გარედან გუნდ-გუნდად მისხდომოდა, სკაში ველარ მოეცადა აუტანელი სიცხის გამო და ტანს იგრილებდა შედარებით უფრო გრილს ჰაერში. ორი ფუტკარი გუნდს გამოსთიშოდა, კედელზე თავისუფალი ადგილი ეპოვნათ, დასხედარიყვნენ და თვლემდენ. ერთი იყო დიდი, სხვილი, სულ ახალგაზრდა მამალი ფუტკარი, მეორე კი მოხუცი მუშა, რომელსაც დიდი ხნის ჯაფის გამო რუხი ქინქლი სულ გასცენოდა და გატიტვლებული ტანი ვიშერივით უბრძყვიალობდა. უცბად მამალმა ულვაშები აცქვიტა, მუშასთან მიბარბაცდა და ტანზე მოუცაცუნა. მუშა შეკრთა, ერთი შემოტრისალდა—მტერი ხომ არ მეპარებოთ, და გაკვირვებული თავის მრავალი თვალით მამალს დააცქერდა.

— მე უსქესო ვარ—არც მამალი ვარ, არც დედალი, შე ბრიყვო! მუშა ვარ,—უპასუხა ბებერმა.

— მე მინდა, მშრომელო, ამისნა: ვინ და როგორ აეთებს იმ შვენიერ, ტკბილ საჭმელს, რომლითაც ჩვენ ვიკვებებით. დიდი ხანია მინდოდა ამის შეტყობა. ერთხელ ჭალბატონი უედაც კი შევაწუხე, მივედი მასთან საკითხავად სწორედ იმ დროს, როცა მას უკანა ტანი ფიქის თვალში ჩაედო და ისე იჯდა ფიქაზე. მე მეგონა, მოცულილი იყო და

ისვენ ებდა. როცა კითხვით მივმართე, მრისხანედ მითხრა, მომშორდი აქედან, შე უსაქმურო, მე არა მცალია შენთან სასალაყოდ, — ხომ მხედავ, კვერცხსა ვსდებ! დღედამეში ათასობით უნდა დაესდო კვერცხი, რომ სკაში ჩემი შეიღების რიცხვი არ შეგცირდეს და სამშობლო სკას მუდამ საკმაოდ ჰყავდეს მუშა და მეომარი. წადი, მომშორდი, ნუ მაცდენო. მე შემეშინა და იმ წამსვე უკან გამოვბრუნდი. ისიც ამიხსენი, მშრომელო, გეთაყვა, რატომ მიწოდებენ უსაქმურს, ლორმუცელას, არამზადას და სხვას?

— კარგი, ჯერ აგიხსნი, რატომ გიწოდებთ იმ სახელებს, რაც მთელ სკაში შენისა და შენისთანაების გარდა სხვას არავის ეგუება და არც უწოდებენ, მერე კი შენს პირველ კითხვაზე გიპასუხებ, თუ არ დავიღალე. ყური დამიგდე!

— დედა ფუტკარი გაზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდი განუწყვეტლივ სდებს კვერცხებს...

— ნუ გამიწყრები, მშრომელო, ერთ წუთს შეჩერდი და მეც მომისმინე, თუ შეიძლება — მეშინია არ დამავიწყდეს — გააწყვეტია მამალმა. დედა ფუტკარი მართლაც, რომ ქალბარონი ყოფილა. ოჭ, რა მძიმედ და შნოიანად დაბრძანებულიყო ფიჭის ტახტზე, როცა მე გამიჯავრდა! ძალიან გაირჩევა სხვა ფუტკრებისაგან: ლამაზი და გრძელი ტანის გვერდები მოყითალოდ მოვარაყიბული მეჩვენა, ტანზე უფრო მოკლე ფრთები ლამაზად დაწყო ზურგზე; თავი დარბაისლურად ეჭირა. როცა მე გამიჯავრდა, მოვკურცხლე, მაგრამ გულმა არ მომითმინა და უნბურად ერთი უკან მიეკედე. ის ფიჭის მეორე თვალზე გადალიოდა. მერე რა შეენირად მიბრძანდებოდა დალოცელილი! მივიდა მეორე თვალთან, ჩაჭყო შიგ ლამაზი თავი, თითქოს იმის მოცულობას ზომავსო, მერე ისევ ამოიღო, აბრძანდა ფიჭაზე და იმავე თვალში უკანა ტანი ჩასრო — ალბად კვერცხის დასადებად, მაგრამ უმაღ თავი რატომ ჩაჭყო ფიჭაში, ეს ვერ გავიგე.

— დედამ ფიჭა დაათვალიერა, შე უქუჯო, ხომ სუფთაა დავისუფალი, რომ კიერცხი ჩავსდო შეგაო.

— რაც გინდა სთქვი და ნამეტანი კი შემიყვარდა ის დალოცელი: ბეღნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, მისთვის რომ მოვკვდებოდე...

— გვიანდაა, შენ ვერ გახდები მისი გულისფვის სიკვ-
დილის ღირსი: მ.ისი სიყვარულით უკვე მოკვდა ერთი შენის-
თანა მუქთახორა და ქათმის წიწილას ჩინჩხევი შეიქნა მი-
სი სამარე.

— ვერ გავიგე, მშრომელო, უკანასკნელი შენი სიტ-
ყვები. უფრო უბრალოდ ამისსენი ნათქვამი, ვეთაყვა!

— დამიგდე უური, თავიდან მოგიყვები: როცა დედა
ფუტკარი დამოწიფულდება, სკიდან გამოდის და მიფრინავს
საქორწინო გასასეირნებლად. მას მისდევს თან მამალი ფუ-
ტკრების გუნდი. აქ, ცის ლაქვარდში, ხდება დაქორწინება
ერთ-ერთ მამალ ფუტკართან, რომელიც მაშინვე კვდება,
ძირს ვარდება და რომელიმე ფრინვლის ლუკმად ხდება. ჩვე-
ნი საყვარელი დედის ქმრის გვამი ქათმის წიწილაშ ჩაყლაპა.

ქორწინების შემდეგ დედა ფუტკარი სამუდამოდ განა-
ყოფიერებულია. ის ბრუნდება სკაში და იწყებს კვერცხების
დებას. დედა სკაში ერთია და ორნაირ კვერცხსა სდებს:
სამუშეს და სამამლეს. სამუშე კვერცხი განაყოფიერებულია,
სამამლე — არა. პირველიდან იჩეკებიან დედა*) და მუშა ფუტ-
კრები, მეორედან — მამალი ფუტკრები. მე გიოხარი: დედა
ფუტკარი ვაზაფხულიდან შემოღვიმის ბოლომდა სდებს კვე-
რცხებს მეთქი: დღე და დამეში ათასობით დასდებს, ძალიან
ბევრ სამუშე კვერცხს, რადგან მუშა ხელი რაც მეტი იქ-
ნება სკაში, მით უფრო ბედნიერია იგი (სკა). მუშა ფუტკა-
რი თუმცა ტანად პატარაა, მაგრამ ყველაფერს ის აკეთებს
სკაში: აშენებს ფიჭებს, აგროვებს თაფლს და ყვავილის
მტვერს, ემსახურება დედა ფუტკარს, უვლის და ჰეკვებავს
ახალთაობას, სდარაჯობს და იცავს მტრის თავდასხმისაგან სკას,
ეზიდება ლინდგილს (წებოს), გლესავს იმით ჰუჭრუტანებს,
ზიდავს სკაში წყალს, აგრილებს პაერს და სხვ., რის ჩამოთ-
ვლაც აქ არ შემიძლია. სამამლე კვერცხებს შედარებით ცო-

*) სადედე და სამუშე კვერცხები ერთნაირია, მაგრავ სადედე
აკვანი (ფიჭის თვალი) უფრო ღიღია, წიწილასაც (ფუტულას) საუ-
კეთესო საზრდო და მოვლა აქვს, ამიტომაც გამოდის დედა ფუტ-
კარი სხვებზე დადი, ლამაზი და შნოიანი.

ტასა სდებს — მხოლოდ რამდენიმე ასს, რადგან მამლები სკაში ჭამის მეტს არის აკეთებენ — შემოდგომაზე შხამიანი ისრებით ვწოცავთ მათ: გვეშინია ზამთარში სურსათი არ შემოგვაკლდეს.

— ახლა კი მივხვდი, რატომ გვეძახიან უსაქმურს, მუქ-თახორას და სხვას. მაგრამ ეს მიკვირს, თუ ერთის მეტი მა-მალი სკაში საჭირო არ არის, რატომ ვიჩეკებით ასობით? რატომ სდებს ამდენ სამამლე კვერცხს ქ-ნი დედა? ხომ მის ნებაზეა სამამლე და სამუშე კვერცხების დება: უნდა სამუშე კვერცხს დასდებს, უნდა სამამლეს?

— აღარ შემიძლია მეტი ლაპარაკი, ისედაც დასუსტე-ბული ვარ და ამ სიცხემ კი სულ გამომილია არაქათი. ამას გარდა, პატარა ფუფულები გამოუცდელ ახალგაზრდა მუშების ამარა მყავს დატოვებული: მეშინია, არაფერი მოუვიდესთ. წავალ, ვნახავ, ცოტას დავისვენებ, მერე დავბრუნდები და ყველა შენს კითხვაზე პასუხს გაგუდე.

სანამ ბებერი მუშა ფუტკარი სკიდან დაბრუნდებოდეს, მამალს მის კითხვაზე პასუხს მისცემდეს და იმ პასუხს თქვენ ჩემგან მიიღებდეთ, მიპასუხეთ წერილით შემდეგ კითხვებზე:

1. როგორია გარეგნობით დედა ფუტკარი ?

- | | | | | | | |
|----|----------|------------------|-----------------|-------------|-------|---|
| 2 | " | " | მამალი | " | ? | |
| 3 | " | " | ბებერი | მუშა | ? | |
| 4 | " | " | ახალგაზრდა | " | ? | |
| 5 | რას | აკეთებს | სკაში | დედა | " | ? |
| 6 | " | " | მამალი | " | ? | |
| 7 | " | " | მუშა | " | ? | |
| 8 | რამდენია | სკაში | დედა | " | ? | |
| 9 | " | " | მამალი | " | ? | |
| 10 | " | " | მუშა | " | ? | |
| 11 | რა | გვარ | კვერცხებს | სდებს | დედა | ? |
| 12 | რა | იჩეკება | განაყოფიერებული | კვერცხიდან? | | |
| 13 | " | გაუნაყოფიერებელი | კვერცხიდან? | | | |
| 14 | როდის | იწყებს | დედა | კვერცხების | დებას | |
| | | და როდის | ათავებს? | | | |


გ. პარაშიძე

(შემდეგი იქნება).



ქ ე ბ რ დ გ რ ძ ა.

I.



აფხული მიიწურა. ცაზე ღრუბლები აირია. ქარმა ხშირად დაიწყო ზუზუნი, თითქოს ზაფხულის სითბოთი გალალებულ სულდგმულთ აგონებს მივიწყებული ზამთრის სუსსს.

მართლაც და ვის ახსოვს ზაფხულის პაპანებაში ზამთრის სიმკაცრე, მაგრამ დაპერავს შემოდგომის ქარი

და, როგორც ცხოველთ, და ფრინველთ, აგრეთვე მცენარეთაც აქმლებათ მწარე ფიქრები. აი ახლაც! აშფოთდენ ფრთოსნები. შორს, თბილ ქვეყანაში გადაფრენის საკითხი დაუდგათ. შემოდგომამ დაასევდიანა აი, ეს ჩეენი პატარა ბალიც. მაგრამ რა ლამაზია ის ამ ფიქრებით დატვირთული. ზაფხულის ერთფეროვან ტანისამოსის ნაცვლად ის კახტა პატარალივით მორთული ფერად სამოსელით. რა ფერი გინდა, რომ აქ არ ნახო? ყვითელი, მომწვანო, ლურჯი, ნარინჯი, წითელი და, ვინ იცის, კიდევ რა ფერი? მაგრამ საინტერესოა იმის გაგება, როგორ ჩნდება ეს ფერები, ან და რამდენად საჭიროა მცენარისთვის ეს ფერების სხვადასხვაობა. მართლა და მცენარე იმიტომ ხომ არ იყაზმება ასეთ ფერად ტანისამოსით, რომ ჩვენ მოვგაწონოს თავი? უეჭველია, ამ ფერის ცვალებას მის სიცოცხლისთვის მნიშვნელობა აქვს. ამის შესახებ მცენიერებაში ორი აზრია. ფიქრობენ,—შემოდგომის ფერები მცენარეს იმისთვის ესაჭიროება, რომ მათი საშუალებით ის თავს იცავს მზის ზოგიერთი სხივებისაგან.

მეორე მხრივ ამტკიცებენ იმასაც, რომ სწორედ ამ ფერების საშუალებით მცენარე მეტ სიობოს ითვისებს, რაც მი-

სთვის საჭიროა მაშინ, როცა მხე სუსტად ათბობს. გავეცნოთ ორსავე აზრს.

იმ ფერადს, რომელიც მცენარეს მწვანედ მოსავს, ქლოროფილი ჰქვია. მცენარის უდიდესი ნაწილი მოფენილია მწვანე ქლოროფილის მარცვლებით. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ მცენარის კვებაში. აი, ეს ქლოროფილის მარცვლები მზის შუქის ზეგავლენით ჩნდება. როგორც ყველა ცოცხალი სხეული, ქლოროფილის მარცვლებიც მცენარეში მრავლდებიან და იხოცებიან კიდეც. ზაფხულში, როცა მეტი სითბოა, დაშლილ ქლოროფილის მარცვლების ნაცვლად ახალი მარცვლები ჩნდება და იმიტომ მცენარეს მწვანე ფერი არ ეცვლება. შემოდგომაზე კი სიცივის გამო მარცვლების დაშლა უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ახლების გაჩენა და იმიტომ მცენარეს ფერი თანდათან ეკარგება. უკვე გამორკვეულია, რომ ქლოროფილზე ყველაზე ცუდ გავლენას მზის მწვანე და ყვითელი სხივები ახდენენ. ეს ის სხივებია, რომლებიც ხელს უწყობენ ქლოროფილის დაშლას.

აი, ამ სხივების გასაბათილებლად მცენარეს ქლოროფილის ზევით გადაეკვრის ხოლმე ეს მფარველი საღებავი, რომელსაც ანტოციანი ეწოდება. იმისდა მიხედვით, თუ რაგვარ სხივებისაგან ესაჭიროება მცენარეს თავის დაცვა, მისი ანტონციანი სხვადასხვა ფერს იღებს.

ამრიგად, როგორც ერთი მეცნიერი სრულიად სამართლად ამბობს, მცენარისათვის ანტოციანი წარმოადგენს ხელთათმანებს, ან და თხელი ლეხაქის პირბადეს, რომლებითაც ქალები მზის სხივებისაგან იფარავენ ხელებსა და სახეს. რომ მართლა ანტოციანი ქლოროფილის ქოლგაა, იმითაც მტკიცდება, რომ მცენარეს ანტოციანი უჩნდება მარტო შემოდგომით კი არა,—არამედ გაზაფხულზეც, როცა ქლოროფილის მარცვლები ჯერ საკმაოდ არ არიან მოღონიერებულნი.

მაგრამ ანტოციანის მზრუნველობა ამით არ თავდება. ის იცავს მზის შეუბრალებელ სხივებისაგან ქლოროფილის გარდა მცენარეში მყოფ სხვადასხვა საკვებ მასალასაც. ვინ არ იცის, რომ მცენარეში პატარ-პატარა მილებით სწარმო-

ებს სხვადასხვა წვენების განუწყვეტელი მოძრაობა. ვაზის ცრემლი სხვლის დროს, — ეს ხმა წვენია ჭრილობიდან გადმოდენილი. წვენის მოძრაობა მცენარეში ძლიერდება გაზაფხულობით და შემოდგომობით. გაზაფხულზე წვენი ფესვიდან მცენარის ჰედა ნაშილში მიდის. შემოდგომით კი დამზადებული საზრდო მასალა ადგილს გადინაცვლებს ხოლმე და იქ ადგილებიდან, რომლებიც საზამთროდ უნდა მოიშოროს, უფრო მყუდრო ბინაზე გადასხლდება ხოლმე.

ი, ამ დახევის დროს იფარავს ანტოციანი საზრდო მასალას მზის სხივებისაგან. როთ აიხსნება, თუ არა ამით ის გარემოება, რომ ამ ჩვენს ბაღში მწიფე ვაშლს სწორედ ის გვერდი შესწიოთლებია, რომელიც მზისკენა აქვს მიქცეული.

როგორც ზევითაც ვსთქვით, ზოგიერთი ფიქრობს, რომ ანტოციანს სულ სხვა დანიშნულება აქვს. ამათი აზრით ანტოციანი ხარბად ითვისებს მზის ზოგიერთ სხივებს და ამრიგად მცენარეს მეტ სითბოს სძენს, ათბობს. ეს სითბო კი მცენარისთვის საჭიროა ჯერ ერთი იმისთვის, რომ მეტი წყალი აორთქლდეს ფოთლებიდან, რა უგან რაც უფრო მეტ წყალს აორთქლებს მცენარე, მით უფრო მეტი გადასამუშავებელი საზრდო მასალა დარჩება, რომელიც წყალს მიწიდან ფოთოლში ავყვა. გარდა ამისა ამ გზით მოპოვებული სითბო ხელს უწყობს დედამიწიდან ამოწოდილ ნივთიერებათა საზრდო მასალად გადამუშავებას.

ანტოციანი რომ მცენარეს სითბოს სძენს, ეს სულ უბრალო ცდით დაამტკიცა ერთმა მეცნიერმა. ფოთოლს, რომელსაც იქა-იქ წითელი ანტოციანის ლაქები ჰქონდა, უკანა გვერდზე გააკრა ცვილის თხელი ფენი. როდესაც მზის სინათლეზე გაიტანა ასეთი ფოთოლი, შენიშნა, რომ ანტოციანის ლაქებზე გადაფარებული ცვილი უფრო ადრე გალხვა, ვიდრე ფოთლის სხვა მაწილზე გადაკრული. ამავე აზრით გაზაფხულზე იმიტომ უჩნდება მცენარეს ანტოციანი, რომ ამ დროს ჰაერში მეტად ცოტაა სითბო და ახლად გამოლვი-ძებულ მცენარეს კი მეტად ბევრი სითბო ესაჭიროება.

მეცნიერთა დიდი ნაწილი კი იმ აზრს ემხრობა, რომ შემოდგომის და გაზაფხულის შეფერადება მცენარეს ზოგიერთ შემთხვევაში იმისთვის ესაჭიროება, რომ დააკავოს ქლოროფილისთვის და საზრდო მასალისთვის მავნე სხივები, ზოგიერთ შემთხვევაში კი იმისთვის, რომ მეტი სითბო შეიძინოს.



მიწის ძვრა იაპონიაში.



ემაძრწუნებელი ამბავი მოიტანა დეპეშამ.
 შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიაში, 1
 სექტემბერს, საღმოს მოხდა საშინელი
 მიწის ძვრა. ამ ცნობით იაპონიის სატა-
 ხო ქალაქი ტკიო ცეცხლშია გახვეუ-
 ლი. ტკიოს გარდა დანგრეულია ან და ძლიერ დაზიანე-
 ბული შემდეგი ქალაქები: ოკაგამა, ხამამაცუ, ნაგოია,
 ოხოვანა, კოსაუ, გოკამბო, სორგამბო და სხვ. მიწის ძვრას
 იმდენად შეუცვლია დედაპირი, რომ მდინარე ხუ-
 მმიგავას უკან დაუწყია დენა. ყველაზე გულშემხარავი კი ის
 არის ამ ცნობილან, რომ ამ მიწის ძვრას უმსხვერპლია
 2,000,000 ადამიანი. ეს ცნობა ვის ჩასწვდება გულში ისე
 ღრმად, როგორც ჩვენ, ვორის მიწის ძვრის სხვერპლთა მო-
 წმეთ. ვინ იცის, რამდენი კერა დაინგრა, რამდენი სიკუც-
 ხლე, ას წლობით შექმნილი დოკლათი-სიმდიდრე მოჰყვა
 უამრავ ნანგრევებს ქვეშ. ასეთია სტიქიის ულმობელობა! ამ
 უბედურებილან დედამიწის არც ერთი კუთხე არ არის საგე-
 ბით უზრუნველყოფილი, მაგრამ ზოგიერთ აღვილებს განსა-
 კუთრებით ხშირად ეწევთ ხოლმე ბუნების ეს რისხეა. ასეთ
 მხარეთ ეკუთვნის ის კუნძულებიც, რომლებზედაც გაშენე-
 ბულია იაპონიის სახელმწიფო. ამ კუნძულთა რიცხვი 3860-ს
 აღწევს. იაპონიაში ითვლება 130-მდე ვულკანი, რომელთა
 განაც 50 დღესაც მოქმედობს. მაგრამ ცნობილია, რომ ვუ-
 ლევიური მიწის ძვრა იმდენად საშიში და დამრბევი არ არის,
 რამდენადაც ეგრეთ წოდებული ტექტონიური მიწის ძვრა. ამ-
 გვარ მიწის ძვრას იწვევს შემდეგი გარემოება: როგორც ვი-
 ცით, დედამიწის კანს ქვეშ ჩალაგებულია ფენებად მრავალი
 სხვადასხვა ჯიში. ვიცით ისიც, რომ ბევრგან დედამიწის

სიღრმეში აქა-იქ ღრუებით წყლით ამოვსებული. აი, ეს
 წყალი ხსნის სხევდასხვა მინერალებს, მთის ჯიშებს, რის
 გამოც ის დედამიწის ზედა პირზე გამოჩეხხებს უკვე რო-
 გორც მინერალური წყალი. ეს მიწის ქვეშა წყალი და კი-
 დევ სხვა მიზეზები თანდათანობით აღიდებენ მიწაში მყოფ
 ფოსოებს და ხშირად იმდენად დიდი ღრუ ჩნდება მიწა-
 ში, რომ მასზე გადაფარებულ ფენებს დასაყრდნობი აღარა-
 ფერი რჩებათ და აქა-იქ ჩაინგრევა ხოლმე. ამ უზარმაზარი
 ფენების მოგლეჯა და ფოსოებში ჩავარდნა იწვევს იმას, რა-
 საც ჩვენ ვეძახით მიწის ძვრის. ამგვარ მიწის ძვრის განსაკუ-
 თრებული თვისები, წინააღმდევ ვულკანური მიწის ძვრისა,
 ის არის, რომ ის უფრო მეტ აღვილზე ვრცელდება, უფრო
 ძლიერია და მაშასაღამე მეტად გამანადგურებელი. იმ აღვი-
 ლიდან, სადაც წყდება ფენები, ანუ როგორც ამბობენ, მი-
 წის ძვრის ფოკუსიდან, ხშირად რამდენიმე ასის და ათასი
 ვერსის მანძილზეც საგრძნობლად ინდრევა დედამიწის ზედა-
 პირი. ამ შემთხვევაშიც თბილისის სეისმოგრაფიულმა საღ-
 ურმა, ანუ იმ დაწესებულებამ, რომელშიც საგანგებოდ მოწ-
 ყობილი იარაღები აღნიშნავენ დედა მიწის ზედაპირის ყო-
 ველგვარ რყევის, აღნიშნა, რომ შორეულ აღმოსავლეთში
 მძლავრი მიწის ძვრა მოხდათ. ტელეგრაფის ცნობამ გაამარ-
 თლა სეისმოგრაფის ჩვენება. წლის განმავლობაში იაპონიის
 ტერიტორიას 150-ჯერ მაინც სჩვევია შენძრევა, თდნავ შე-
 სამჩნევი ძვრა კი ბევრად ამაზე უფრო ხშირად ხდება. დი-
 დი მიწის ძვრის მაგალითთაც აქამდის მოჰყავდათ იაპონიის
 მიწის ძვრა 1891 წელს, რომელმაც ისხვერპლა 24,000-მდე
 ადამიანი და 300,000 სახლი. უკანასკნელი მიწის ძვრა კი,
 როგორც გაღმოცემულ ცნობილმაჩანს, ამაზე ბევრად უფრო
 ძლიერი ყოფილა.

იაპონიის გეოგრაფიულ პირობებზე და თვით იაპონელ-
 თა ყოფა-ცხოვრებაზე შეძლებ.

— ელი





საქართველო
გილდიანი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის
მთავარმმართველობის სალიტერატურო სმხატვრო სექციის
ხელმძღვანელობით გამოცემულ წიგნების სია.

(ფასები ჩერვონცებით).

	ფასი
1. „ნაკადული“ 1921 წ. №№ 1922 წ. №№ თითო წიგნი	15 კ.
2. „ჯეჯილი“ 1921 წ. 1922 წ. №№	25 ”
3. „ნორჩი ძალა“, —კრებული	15 ”
4. „საპი ამბავი“, —შიო მღვიმელისა	10 ”
5. „კოკრაჭინა“, —დ. დონდუასი	10 ”
6. „ბელა ბეკეება“ ”	10 ”
7. „შემოღვიმა“, ფერად სურათებიანი წიგნი	70 ”
8. „დედაბერი, ტურა და მელია კუდი გრძელია“	50 ”
9. „ბავშვებს“, —გ. ლექსები ქუჩიშვილისა	20 ”
10. „ტყის ზღაპრი“, —მამინ სიბირიაკისა, თარგ.	20 ”
11. „ტყის სურათები“, შიო მღვიმელისა	25 ”
12. „კიანჭველას საოცარი თავგადასავალი“	30 ”
13. „თავისუფალ ბავშთა სიმღერები“	2 ”
14. „ქართული მოძრავი თამაშობანი“	80 ”
15. „ტროდის ომი“, —ალ. მიქაბერიძისა	80 ”
16. „ივან-არაკი“, —ალ. მირიანა შვალისა	30 ”
17. „საბავშო პიესათა კრებული“	70 ”
18. „ივანე სულელი“, —ხლაბარი. ლ. ტოლსტოისა	15 ”
19. „ლურჯი ფრინველი“	50 ”
20. „ნაკადული“ 1923 წ. თითო №	25 ”
21. „ჯეჯილი“ 1923 წ. თითო წიგნი	40 ”
22. „ზამთარი“ —ფერადი სურათებით.	50 ”
23. „უძველეს დროის ბავშის თავგადასავალი“	45 ”
24. „როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისადას“	25 ”

1923 წ.

მიიღება ხელის მოწერა საემაწვილო დასურათებულ
ქურნალებზე:

მოზრდის „**ჭ ე ჭ ი ლ ი**“ მე-XXXIV წ.
გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მცირეწლოვ. „**ნ ა კ ა დ უ ლ ი**“ მე-XIX წ.
გამოდის ეოველთვიურად.

ქურნალი გამოდის განათლების სახალხო კომისა-
რიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის
სალიტერატურო სამხატვრო სექციის ხელმძღვანე-
ლობით.

ხელის მოწერა მიიღება თვიურად.

ცალკე „**ჯ ე ჯ ი ლ ი**“ 40 კ.

„**ნ ა კ ა დ უ ლ ი**“ 25 კ.

ქალაქ გარედ გაგზავნა ხელის მოწერის ხარჯზე.

მისამართი: ტფილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, № 5, განათ-
ლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“
რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.